ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 1 მაისი 1918

ერთობა

ფასი
30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 89 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 89

ხარაგოულის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, რომ არმავირში ვერაგულათ იქნა მოკლული და ნაწამები ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე

ვარლამ საყვარელიძე

პანაშვიდი დანიშნულია 19 აპრილს დ. ხარაგოულში.

ლეონტი დავითის ძე ქიპაშვილი ოჯახობით აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს 2 მაისს დანიშნულია დაბა ხარაგოულში პანაშვიდი დაუვიწყარი მეგობრის, არმავირში ვერაგულათ მოკლული

ვარლამ საყვარელიძის

სულის მოსახსენებლათ.

თავზარ დაცემულნი და ღრმად დამწუხრებულნი ნატალია, ერმილე და თამარა სარიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის, ხოლო მეორენი საყვარელი ძმის

ვასიკო სარიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, სად. აჯიკაბულში ბოლშევიკებთან შეტაკების დროს 6 აპრილს. (2—2)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: სოფრომ პაატას ძე და დედა თეკლე, ძმები: გიორგი, ესე, ისიდორე, დაი მარუსია, და ძმის შვილი: ამირან გიორგის ძე კალანდაძეები, სიძე სიმონ კვინიხიძე, მეუღლე პელაგიათი, ბიძა: ნიკო სალუქვაძე, ჯუმადია: თედორე კიკვაძე მეუღლე პელაგიათი. ბიძაშვილები: ლადიკო და [illegible] ძე კალანდაძეები აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ უდროვოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი ჯარის-კაცის

ექვთიმე სოფრომის ძე კალანდაძის

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს 12 აპრილს მის საფლავზე ქ. თფილისში (კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე) და მის სამშობლოში ს. ხიდისთავში (გურია) წმ. გიორგის ეკლესიაში.

ახალი კლუბის დარბაზში

კვირას 29 აპრილს (ახ. სტ. 12 მაისს) დღის 12 საათზე, დანიშნულია

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების რწმუნებულთა

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18).
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3) მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ;
4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5) მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17, 31).
6) სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები.

საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე-15 მუხლისა).

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები.

პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად. (4—1)

სახლის ორგანიზაციების, კოოპერატივების და სასურსათო დუქნების საყურადღებოთ.

პური და შაქარი

პურის ტალონები. ვინაიდან ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას არა აქვს საშუალება დროთაღრ. შეცვლის თანახმად მოასწროს პურის და შაქრის ახალი ბარათების გამოცემა, ამიტომ ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, რომ უკვე გამოშვებულ ბარათების ტალონები უნდა მიიღონ შემდეგი წესით: 18 აპრილის, როგორც 1 მაისის, 19 აპრილის—როგორც 2 მაისის და ასე ბოლომდის 30 აპრილამდე, რომლის ტალონი გამოდგება 13 მაისს (ახალი სტილით).

შაქრის ტალონები: სასურსათო (შაქრის) ბარათების ტალონები მაისისა და ივნისის გამოდგება მაისსა და ივნისში, ხოლო აპრილში შაქარს მიიღებენ მხოლოდ 1—15 აპრილის ტალონებით ე. ი. პირველი ნახევარი თვისას; დანარჩენი კი 16—30 აპრილის ტალონები ითვლება გაუქმებულათ.

სათადარიგო ტალონები (თავთის). აპრილის სათადარიგო ტალონებში გამოდგება მხოლოდ 1—10 აპრილის ტალონი, დანარჩენი: 11—20 აპრილის და 20—30 აპრილის ითვლება გაუქმებულათ. მაისისა და ივნისის ტალონები გამოდგება მაისსა და ივნისში.

2—1 **ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.**

კავკასიის წიგნის კოოპერატივი „პროსვეშჩენიე"
(განათლება) ყიდულობს და იღებს საკომისიოთ ძველსა და ახალ
წიგნებს
სხვადასხვა შინაარსისა და ყველა ენაზე დაწერილს. ადრესი: მიხეილის პროსპ. № 93 (ყოფილი მაღაზია ჩიჩქინისა). იქვე იყიდება საკანცელარიო ნივთები. (2—2)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამიერ-კავკასიის ყველა მუშებს და გლეხებს.

ამხანაგებო! ერთი წლის უკან დიდი სიხარულით და იმედით მივეგებეთ ჩვენ შრომის ბრწყინვალე დღესასწაულს, მშრომელთა ძმობის დღეს, პირველ მაისობას. მაშინ ჩვენ გვწამდა, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის ალი ევროპის ყველა კუთხეს მოსდებდა აჯანყების ცეცხლს, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შეერთებული მეცადინეობა მალე მოუღებდა ბოლოს საერთაშორისო ომს.

გასულმა წელმა არ გაამართლა ყველა ჩვენი მოლოდინი. რუსეთის რევოლიუციას ვერ აღმოუჩინა საკმაო დახმარება დასავლეთ ევროპის დემოკრატიამ. მისი მოწოდება საერთაშორისო ძმობისადმი უძლური აღმოჩნდა საერთაშორისო იმპერიალიზმის უღლის წინაშე, მან ვერ შესძლო ცეცხლის ჩაქრობა.

ამ გარემოებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთის დემოკრატია. იმავე დროს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში თავი წამოყო უკიდურესმა ანარქისტულმა მიმდინარეობებმა. დემოკრატიის მთლიანი ფრონტი დაირღვა, იფეთქა სამოქალაქო ომმა, რომელმაც ლახვარი ჩასცა დიდ რევოლიუციას, რომელზედაც ერთი წლის უკან ჩვენს იმედებს ვამყარებდით.

რევოლიუციონური რუსეთი დაინგრა, რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილებათ დაიყო.

ამიერ-კავკასია წელს პირველ მაისის დღესასწაულს ისე ხვდება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ მის დამოუკიდებლობას ორი მხრიდან ემუქრება მტერი—ოსმალეთის იმპერიალისტები სამხრეთიდან, ხოლო ბოლშევიკები ჩრდილოეთიდან.

დიდი განსაცდელი მოგველის. განსაცდელი მოელის აგრეთვე მთელს კაცობრიობას, რომელიც სულს ლაფავს დაუსრულებელ ომისაგან.

მართალია, ერთობ მძიმეა ჩვენი მდგომარეობა, მძიმეა მდგომარეობა მშრომელ ხალხისა, რომელიც ომის ცეცხლის წრეშია მოქცეული, მაგრამ გამბედაობას არ ვკარგავთ, რადგან დარწმუნებული ვართ, საბოლოოთ სოციალიზმის იდეალი გაიმარჯვებს.

მალე ჩაქრება საერთაშორისო ომის ცეცხლი და სისხლით მორწყული არემარე თვალს აუხელს ხალხებს და ცხადჰყოფს იმ ჯოჯოხეთურ ტყუილს, რომლის კლანჭებში მოუმწყვდევია ის გაბატონებულ კლასებს და მილიონობით მუშებს და გლეხებს ერთი მეორის წინააღმდეგ აუხედრებს. ომის დასასრული გახდება ფართო და მრისხანე სახალხო მოძრაობის დასაწყისათ. რევოლიუცია, რომელიც ევროპის ერთ კუთხეში ჩაქრალა, ახალი ძალით აფეთქებს მეორე კუთხეში.

წინანდელზე უფრო მაღლა ბრწყავს პროლეტარულ ინტერნაციონალის დროშა, წინანდელზე უფრო ხმამაღლა გაისმის ჩვენი მოწოდება:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"!..

ჩვენ გვწამს, რომ ამიერ კავკასიაში შევძლებთ დავიცვათ ჩვენი თავისუფლება იმ საბედისწერო დრომდე, როცა მთელ ქვეყანაში გაიმარჯვებს რევოლიუცია.

მჭიდროთ შევკრათ ჩვენი რაზმები მტრის წინააღმდეგ! მჭიდროთ დაუხვდეთ იმათ, ვინც მოინდომებს საკუთარი სურვილები მოახვიოს თავზე ჩვენს ქვეყანას! ნუ დავუშვებთ, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკა სათამაშო საგნათ გახდეს დამპყრობთა—ოსმალეთის იმპერიალისტების და ბოლშევიკების ხელში! ჩვენს თავისუფალ ქვეყანაში შევეცადოთ განვახორციელოთ მუშათა კლასის ძველი მოთხოვნები—რვა საათის სამუშაო დღის კანონმდებლობით განმტკიცება, შრომის დაცვა, სრული სამოქალაქო თავისუფლება.

გამარჯვების რწმენით ჩვენ მოგიწოდებთ ყველას სასტიკ და შეუპოვარ ბრძოლისკენ.

დეე საუკუნოთ მოისპოს ომი!

გაუმარჯოს საყოველთაო ზავს!

ყოველმა ერმა თავისუფლად უნდა გამოარკვიოს თავისი წყობილების წესი!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას!

გაუმარჯოს რევოლიუციას!

გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს და შრომის საყოველთაო დაცვას.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების **საოლქო კომიტეტი.**

მუშათა დღესასწაული

პირველი მაისი საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაულია. ინტერნაციონალური პროლეტარიატი პირველ მაისს უქმობს და ამ დღეს იგი საჯარო დემონსტრაციებს ახდენს.

დიდი დღესასწაულია მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის. ამ დღეს აქვს თავისი წარსული, თავისი საკუთარი ისტორია და დანიშნულება.

რამდენიმე ათი წლის წინათ ამერიკის მუშათა კავშირმა სან-ლუის კონგრესზე პირველი მაისი სადღესასწაულო დღეთ გამოაცხადა და ეს დღე რვა საათის სამუშაოს მოთხოვნის უქმეთ აღიარა. ამის შემდეგ პარიზის ინტერნაციონალურ კონგრესზე, სახელდობრ 1889 წელს—საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ასი წლის თავზე, აღსანიშნავათ, დაადგინეს ეს დღე მთელი ქვეყნის მუშათა კლასის საყოველთაო დღესასწაულათ გადაქცეულიყო და ამ დღეს უწინარეს ყოვლისა ყველა სახელმწიფოების და ყველა ერების ხალხთა მშვიდობიანობა და რვა საათის სამუშაო დღე მოეთხოვათ.

ეს დღე მუდამ და ყოველთვის სადემონსტრაციო დღეთ ითვლებოდა და ამ დღეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი თავისი მასიური გამოსვლებით პროტესტს აცხადებს არსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ. ამ დღეს მედგრათ გაისმის მარქსის დიდებული მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

პირველ მაისს გარდა იმისა, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარები რვა საათის სამუშაო დღეს მოითხოვენ და ხალხთა შორის მშვიდობიანობას აღიარებენ, ამავე დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი ყოველგვარ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ნაციონალური შევიწროების წინააღმდეგ უკმაყოფილებას აცხადებს.

დასახელებული დღე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის ეგრეთ წოდებული ანარქისტების „დალეწის" დღე, უკანასკნელები განსაზღვრულ დღეს, ერთ დანიშნულ დროს აჯანყების მოხდენას აპირობენ და ამ დღეს უნდათ მთელი ბურჟუაზიული წყობილების დამხობა. მაგრამ მარქსი და მარქსიზმის ასეთ შეხედულებას მეტად დაშორებულნი არიან და ვიმეორებთ ეს დღე საპროტესტო და სადემონსტრაციო დღეა.

მას შემდეგ, რაც პირველი მაისი საერთაშორისო დღესასწაულათ იქნა აღიარებული—ყოველ წლივ ყველა ქვეყნის მუშათა კლასი დროის და გარემოების შეხედვით ყოველგვარ ძალმომრეობის წინააღმდეგ მასიურ დემონსტრაციებსა და პროტესტებს აცხადებს. იგი მარტო რვა საათის სამუშაო დროის მოთხოვნით არ კმაყოფილდება, სასტიკ პროტესტს აცხადებს მილიტარიზმისა და კაპიტალისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთ ფეხზემდის იარაღდებოდნენ და ჯავშნიან მუშტის მეოხებით ცდილობდენ სუსტი ქვეყნების, პატარა ერების დამორჩილებას. მილიტარიზმისა და მარინიზმის (სამხედრო ფლოტის) მეოხებით უნდოდათ ახალი ქვეყნები შეეძინათ და ამ საშუალებით ახლად დამორჩილებული ხალხები თავიანთ ექსპლოატაციის ობიექტათ გაეხადათ.

რამდენადაც ვითარდებოდა მათი წარმოების წესი, იმდენათ ისინი მედგრათ იარაღდებოდნენ და უკან ჩამორჩენილ ერებს დამორჩილებას უქადდნენ. შეიარაღებამ თავის განვითარების უკანასკნელ საფეხურს მიაღწია და ამ ოთხი წლის წინათ მსოფლიო ომი დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გაეხვია და პროლეტარიატის მიერ შექმნილი სიმდიდრე, მისი საუკეთესო ფიზიკური ძალა ცეცხლსა და მახვილს ეძლევა.

ამ საერთო უბედურების ხანაში რუსეთის დემოკრატიამ დიდი რევოლიუცია მოახდინა და საუკუნოების შემუშავებული მონარქიული წყობილება პირქვე დაამხო. რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ამიერ კავკასიის დემოკრატიამ მრავალი სოციალური და პოლიტიკური საკითხები დაბალი კლასების სასარგებლოთ გადასჭრა და დღეს იქაც და აქაც 8 საათის სამუშაო დრო ცხოვრებაშია გატარებული.

მაგრამ ჩვენს წინ—განსაკუთრებით კი დამოუკიდებელ ამიერ კავკასიის წინაშე უფრო დიდი საფრთხე დადგა და გარეშე მტერი მის ფიზიკურ არსებობას ემუქრება. დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას გარეშე ბარბაროსი—ოსმალეთის იმპერიალისტები ჩვენს დამოუკიდებელ დემოკრატიულ, ფედერატიულ რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრენ და ჩვენს განადგურებას ეტრფიან. სწორეთ დღევანდელი პირველ მაისის დემონსტრაცია ამ საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. დღეს ჩვენ დამოუკიდებლობას, ჩვენს თავისუფლებას ეს მტერი ემუქრება და ჩვენი ძალებიც აქეთ უნდა იქნას მიმართული.

ძველი და ახალი ინტერნაციონალი, ყოველი საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი მედგრათ იმაღლებდა ხმას გარეშე მტრის შემოსევის წინააღმდეგ და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როცა ერთსაც და მეორესაც პროტესტი არ განეცხადებია. განსაკუთრებით კი პირველ მაისს ასეთ მოვლენებს ულმობლათ კიცხავდენ და საერთაშორისო პროლეტარიატს ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგ მოუწოდებდენ.

მოხუცი და ძველი რევოლიუციონერი ვილჰელმ ლიბკნეხტი, რომელსაც 1871 წელს მოღალატეობა დააბრალეს ბებელთან და ჰეპნერთან ერთად პასუხის გებაში მისცეს სასამართლოს წინაშე, შემდეგს აცხადებს: მე პატარაობიდანვე შემდეგი ორმაგი იდიალი მასულდგმულებდა: თავისუფალი და გაერთიანებული გერმანია და მუშათა კლასის ემანსიპაცია, ე. ი. კლასობრივი ბატონობის მოსპობა, რაიც კაცობრიობის გათავისუფლებას ნიშნავს. ამ ორ მიზნისათვის ვიბრძოდი, ამ ორ მაღალ მიზანს შევწირე ჩემი ძალა და ღონე და ვიდრე პირში სული მიდგას ასეთ ბრძოლას განვაგრძობ. გაერთიანება და თავისუფლება ამა თუ იმ ერის თუ ხალხის ძველი რევოლიუციონერის შეხედულებით არ ნიშნავდა არა თუ ერის საერთო ხალხთა კავშირიდან გამოთიშვას, არც ერთი ერის მეორეზე ბატონობას, ანდა დამოუკიდებელ ხალხების ერთი მეორის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას. გაერთიანებული და თავისუფალი უნდა იყოს ხალხი და იგი როგორც დამოუკიდებელი უფრო მჭიდროთ და მეგობრულათ დაუკავშირდება თანასწორ და თავისუფალ სახელმწიფოებს.

იგივე ლიბკნეხტი, როცა იგი ახალგაზრდა იყო, მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა გარეშე მტრის წინააღმდეგ იბრძოდა თოფით ხელში, თავისი ერის გაერთიანებას და დამოუკიდებლობას იცავდა. სწორედ ესევე ლიბკნეხტი პირველი და საუკეთესო მარქსისტი იყო და იგი პროლეტარიატის უმაღლეს იდეალებისათვის უანგაროთ იბრძოდა.

ამ სახით ამიერ-კავკასიის მუშათა კლასისათვის და მასთან ერთად მთელი დემოკრატიისათვის დღევანდელი დღე, პირველი მაისი, დიდი საპროტესტო დღესასწაული იქნება გარეშე მტრის წინააღმდეგ და იგი მედგრათ დაიცავს თავის თავისუფლებას, თავის დამოუკიდებლობას და ყოველგვარ მტრის წინაშე მედგარ პროტესტს განაცხადებს.

მაისობის გამო

ერთად ერთი დღესასწაული მოეპოვება მუშათა კლასს—პირველი მაისი. მთელი წელიწადი იგი შრომობს სხვისთვის, მთელი წელიწადი ამდიდრებს სხვას, მხოლოდ ამ ერთ დღეს სცილდება მუყლეფელთა საზოგადოებას და მხოლოდ თავის თავს ემსახურება, თავის მომავალისთვის ემზადება.

და ეს ერთი დღესასწაული არ არის დღესასწაული მოსვენების და განცხრომის, როგორც დღესასწაული ბურჟუაზიულ კაცობრიობისა, არა, იგი ბრძოლის დღეა, და მისი დღესასწაულობა მხოლოდ მებრძოლთა ხვედრია.

ლაჩარნი, მუქთახორანი მხოლოდ სხვისი ნასუფრალით ცხოვრობენ, სხვის უქმეებს შეხარიან, რადგან იგინი მართლა უქმობის, ე. ი. უმოქმედობის დღეებია.

მხოლოდ გულით მებრძოლნი და სულით წინამსრბოლელნი შესტრფიან მუშათა დღესასწაულს, რომელიც მათგან ენერგიულ ბრძოლას მოითხოვს.

მუშათა კლასს ამ დღისთვის ორი მთავარი საომარი ლოზუნგი აქვს შემუშავებული.

8 საათის სამუშაო დღე და მილიტარიზმის გაუქმება.

ორივე მისაღწევი, განსახორციელებელი, განსამტკიცებელია, ორივე მომავლის საკითხია.

მართალია 8 საათის სამუშაო დღე რევოლიუციის წყალობით ჩვენში შემოღებულია, მარა მას ესაჭიროება განმტკიცება, დაკანონება, საზოგადოების ნორმალურ ცხოვრების პირობათ გადაქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაქრება, როგორც გაქრა 1907—8 წლის სუსხიან რეაქციის ხანაში.

ამ რიგათ 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება, ეს მომავლის საქმეა, და ვალათ ედება რევოლიუციის ქაფებში ნაშობ ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას.

მილიტარიზმის მოსპობა! ომის გაუქმება! ეს ხომ ახალი საოცნებო საგნათ არის გადაქცეული. და თუ ოდესმე ქონია მნიშვნელობა ამ საკაცობრიო ლოზუნგს, ეს მით უმეტეს აქვს დღეს, როცა ყველა ქვეყნები ომის ასპარეზათ არის გადაქცეული, ხოლო ადამიანები ერთი მეორის საჟლეტ მანქანებათ.

ჩვენი პატარა რესპუბლიკაც ვერ ასცდა ამ საშინელ რგოლს ომის ალისას. თუ ერთი მხრით იგი რევოლიუციის ქაფის ნაშობია, მეორე მხრით ომის ალის ნაბებიერია. დიახ, ომმა გაუწია მას ბებიობა, ომის ზრიალმა დააჩქარა მისი მშობიარობის პროცესი და ომი ახლავს მისი დამოუკიდებელი არსებობის პირველ ნაბიჯებს.

და ჩვენი ამხანაგები, მუშები, გლეხები შრომას მოყვარულნი, მშვიდობიანობის მოტრფიალენი, კლასთა ბრძოლის ნაცვლათ, უცხო მტარვალის შემოსევას უდგანან წინ გვერდით და ტყვიით იცავენ ჩვენს რესპუბლიკას, რომელიც უნდათ თავისუფლების აკვანათ გახადონ, უნდათ მუშათა კლასის და ყველა მშრომელის თავისუფალ განვითარების და წინმსვლელობის მხარეთ გადააქციონ. მებრძოლნი დგანან საზღვრებზე და გარეშე მტრისგან გვიფარავენ ჩვენ, რომელნიც აქ ბრძოლის დღეობას ვდღესასწაულობთ. მარა მათი ბრძოლა, მათი ომი არ არის ომი იმპერიალისტური, არამედ იმპერიალიზმიდან თავდამცველი, იმპერიალიზმის სასტიკ კლანჭების წინააღმდეგ მიმართული. ის რაც ასულდგმულებს პირველ მაისობას,—ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იგივე ასულდგმულებს და ამოქმედებს ჩვენს გმირულ მებრძოლთ, რომელნიც სანგრებში დგანან და მტერს გზას უღობავენ. იგინი დღეს ჩვენთან ერთად არიან არა მარტო სულიერათ, არამედ თავის მოქმედებით, თავის ბრძოლის ყიჟინით, სასიკვდილოთ განწირულნი მშვიდობიანობისა და თავისუფალ ცხოვრების მოპოვებისათვის. და ჩვენც დღეს პირველათ ყოვლისა უნდა მათ მივხედოთ, მათი სახელი ვახსენოთ, და მათთან ერთად ბრძოლა და სიკვდილი შევფიცოთ. პირველი მაისი ბრძოლის დღეა, იგინი კი ახლა ბრძოლის ალში არიან გახვეული, სწორეთ იმ დიადი იდეებისთვის, რომელთაც ეს დღესასწაული აქვს მიკუთვნებული...

და სამაისო ლოზუნგებთან ერთათ დღეს უნდა ლოზუნგათ გახდეს: გაუმარჯოს ჩვენ ჯარს! გაუმარჯოს მილიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მეომრებს!

შრომის დღე

დღეს პირველი მაისია.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი დღეს ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენს, ერთი აზრით და სურვილით არის გატაცებული—ეს არის სურვილი არსებულ კაპიტალისტურ წყობილების მოსპობის და მის ნანგრევებზე სოციალიზმის დამყარების.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! გაისმის ყველა [illegible] ქარხნებში და სახელოსნოებში, ყველგან, სადაც კი სიმდიდრე შექმნილი, ქვეყნის მარჩენალი პროლეტარიატი და ნახ[illegible] პროლეტარი ცხოვრობს.

პროლეტარიატის რიცხვი ლეგიონია, [illegible] სახელი ლეგიონია, მაგრამ [illegible]

რიატი ჯერ კიდევ არ არის საკმაოთ შეკავშირებული და გათვითცნობიერებული, რადგან კაპიტალისტური წყობილება, რომლის საშოში ის გაჩნდა, ჯერ კიდევ ნაკლებათ არის განვითარებული, ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, რომელსაც შეუძლია წარმოშვას კაპიტალისტური წესი სოციალისტურათ შესცვალოს.

მშრომელი კლასის ეს სისუსტე საუკეთესოთ ცხადჰყო საერთაშორისო ომის მსვლელობამ. დემოკრატიამ ვერ გამოიჩინა იმდენი ძალა და გავლენა, რომ გაბატონებულ კლასების მადა აელაგმა და ამ საშინელ ომის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის შეგნებული მუშა გერმანელ აგრარიების და ოსმალეთის ფაშების ბატონობისთვის იბრძვის, ფრანგი სოციალისტი და კომუნისტი საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტებს ეხმარება.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ შესძლო საერთაშორისო ომის ერთ-ერთ მონაწილეთაგანის, რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევა, მაგრამ ახალ წყობილების შექმნა მან ვერ მოახერხა. რუსეთის პროლეტარიატი, მისი ძლიერი პარტია—სოციალდემოკრატია დღეს დამარცხებულია, აღარ არსებობს დიდი და ძლიერი რუსეთი და ახლო მომავალში პარტიის ყოფილი ძლიერების აღდგენაც შეუძლებელია.

ამ ნაირათ, საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახს ერთი საპატიო წევრი უკვე გამოაკლდა.

ამიერ-კავკასიის მუშათა კლასსაც, მის დემოკრატიას აღარ ყავს ძლიერი ქომაგი, ჭირში და ლხინში მეგობარი რუსეთის ძლიერი მუშათა პარტია. ჩვენ განმარტოვებული ვართ.

მაგრამ ძალა და ძლიერება მომავალშია, მუშათა კლასი არ დაიღუპება, სანამ მსოფლიო არსებობს. და როგორც აუცილებელია კაპიტალისტურ წყობილების განვითარება, ისევე აუცილებელია მუშათა კლასის განვითარება და გაძლიერება.

ჩვენ ჩამოვშორდით დიდ რუსეთს, მაგრამ ამიერ კავკასიის სინამდვილეშიაც დიდი მოვალეობა გვაწევს: გაბატონებულ კლასების გამთიშველ პოლიტიკის საწინააღმდეგოთ ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ პოლიტიკა ამიერ-კავკასიის ყველა ერების მშრომელ ხალხის შეერთებისა.

ჩვენი ლოზუნგი: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით—არასოდეს არ ყოფილა იმდენათ საჭირო და ცხოველმყოფელი, როგორც დღეს.

პირველი მაისი და წითელი გვარდია

მუშათა კლასის წარსული—ეს დაუსრულებელი წლებია მონობის, სიღატაკის და უუფლებობის, მისი მომავალი—ეს ბრწყინვალე სამეფოა სოციალიზმის, სამეფო თავისუფლების, ძმობის და თანასწორობის. პირველი მაისი, ეს ერთათ ერთი მუშათა დღესასწაული—არის დღესასწაული არა წარსულის მოგონების, არამედ მომავლის იმედების. ეს არის დღესასწაული შეუჩერებელი წინსვლელობის, ეს არის დღესასწაული მომავლისთვის თავდადებული ბრძოლის. და ყველაზე სანატრელი წევრი ამ დღესასწაულის არის ის, ვინც სცოცხლობს და სულდგმულობს ბრძოლით, ვინც ამ ბრძოლას შესწირა მთელი თავისი ძალღონე, ვინც ამ ბრძოლაში დაუძმობილდა სიკვდილს და საფლავს, ვინც სოციალიზმის ბრწყინვალე იდეალისთვის მზათ არის უკანასკნელი წვეთი სისხლიც არ დაიშუროს.

მეტად მძიმე პირობებში უხდება წელს ამ საერთაშორისო დღესასწაულის შეხვედრა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასს. გარეშე მტერი უკვე ჩვენს საზღვრებშია შემოჭრილი დ გასრესით ემუქრება, ანარქ. სისხლით შეღებილი ტალღები გაშმაგებული ეხეთქებიან ჩვენ ქვეყნის ნაპირებს, რომ წალეკონ ეს უკანასკნელი კუნძული, სადაც კიდევ ღვივის ცხოველმყოფელი ცეცხლი რევოლიუციის. თვით ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ჯერ არ დამყარებულა წესი და მშვიდობა—საერთაშორისო მტრობა და შური სწამლავს ატმოსფერას—ბადებს არევ დარევას...

დიახ, ძნელი, უმაგალითო ბნელი დრო დაუდგა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიას!

მარა ამ საერთო შავ სურათზე, როგორც ვარსკვლავი ბნელ შავ-ღრუბელთა ნაპრალიდან გამონაზრალი, კიაფობს სხივი ჩვენი ამხანაგების გმირობის და თავგამოდების, იმ ამხანაგების, რომელნიც დარაჯობენ ჩვენს თავისუფლებას და იცავენ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის რევოლიუციურ სახელს. ესენია ჩვენი წითელი რაზმელები!

ესენია უჩინარი, წყნარი მუშაკები, რომელთაც თავის სისხლით შეღებეს ჩვენი ქვეყნის კუთხეები, თავის სისხლით ჩააქრეს ძმათა შორის ატეხილ სამოქალაქო ომის ალი ჩვენს ქვეყანაში.

წითელ გვარდიელი, ესაა ერთსა და იმავე დროს მუშაც, მეომარიც და მქადაგებელიც რევოლიუციის.

გუშინ ის გამურული, გაოფლიანებული ჩაკირკიტებდა სახელოსნოს დაზგას, დღეს იარაღით ხელში წამლის ალში გახვეული, იცავს რევოლიუციას, ხვალ თოფის წამლით შეტრუსული, ის ტრიბუნიდან უხსნის სიმართლეს იმ ბნელ ხალხს, რომელსაც ებრძოდა, და რომელიც გუშინ მას ტყვიების დაშენით ეგებებოდა. ის უხსნის მას სიმართლეს და უხელს თვალებს მომავლისათვის.

ის მუშაა—მებრძოლი და მქადაგებელი.

სადახლო, ცხინვალი, თელავი, ქუთაისი, თფილისი და ნატანები ჰყვენ მოწამე მათი წითელი დროშის მაღლა ფრიალის. და თუ დარჩა კიდევ დროშა უმწიკვლო, დროშა შეუბღალავი, რომელსაც არ შეხებია ენა ბოროტი და ხელი უმადური, ესაა დროშა წითელი გვარდიის, ესაა დროშა რევოლიუციის მეომრების.

და თუ ამ უკანასკნელ თვეებში არის დღეები, რომელსაც საამო გულის ძგერით და წრფელი სიამაყით მოიგონებს მომავალი თაობა მუშათა კლასისა, ეს არის დღეები, რომელთაც აზის ბეჭედი წითელ გვარდიელთა სისხლით შეღებილი.

თუ ჩვენ ვსუნთქავთ რევოლიუციის მაცოცხლებელ ჰაერით—ეს ისევ წითელ გვარდიელთა მხნე მუშაობის წყალობით.

აი ამიტომ ისინი სანატრელი წვეულებაა ჩვენი დღევანდელი დღესასწაულის.

აი ამიტომ თუ ჩვენი წინანდელი ლოზუნგი იყო გაუმარჯოს რევოლ., გაუმარჯოს სოც.

ახლა აქათ უნდა დაუმატოთ: გაუმარჯოს რევოლიუციის უშიშარ მეომრებს.

გაუმარჯოს სოციალიზმის რაინდებს.
გაუმარჯოს წითელ გვარდიას.

პირველი მაისი

ამ სამოცდაათი წლის წინეთ გაისმა მძლავრი ხმა—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ამ ხმამ გრიგალისებურ მოიარა მთელი მსოფლიო და სოციალიზმის წითელ დროშის გარშემო შემოიკრიბა მილიონობით მუშები. დღიდან ინტერნაციონალის დაარსებისა მუშათა კლასის ყველა რევოლიუციებში პირველი ადგილი უჭირავს იმ ბრძოლაში, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ მარქსის სხარტული გამოთქმით, „მუშათა კლასი ჰკარგავს მხოლოდ ბორკილებს და იპყრობს მთელს ქვეყნიერობას“.

სოციალიზმმა არ იცის დღესასწაულები, მაგრამ წელიწადში ერთხელ აჩერებს მუშაობას და თავის ძალებს ანგარიშობს.

ეს დღე პირველი მაისია.

1889 წელს ბასტილიის აღების ასის წლის თავზე ე. ი. საფრანგეთის აბსოლიუტიზმის დაცემის ასის წლის თავზე პარიზში მოწვეული იქნა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი და ამ კონგრესზე გადაწყდა დაეწესებიათ პირველი მაისი საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულად.

ამ დღესასწაულის მიზანია ყველა ქვეყნის მუშათა სოლიდარობის განმტკიცება, თავისი ძალების გამოანგარიშება და იმ მოთხოვნების წამოყენება, რომელთა დაუკმაყოფილებლათ მუშათა კლასი შეუძლებლათ სცობს მომავალ განვითარებას.

ეს მოთხოვნაა—რვა საათის სამუშაო დრო და მილიტარიზმის მოსპობა.

წელს პირველი მაისის დღესასწაულის გადახდა საშინელ სისხლის მღვრელ საერთაშორისო და შინაური სამოქალაქო ომის ატმოსფერაში გვიხდება. ამგვარი ომები ჯერ ქვეყნიერებას არც კი ახსოვს.

ვდღესასწაულობდით რა წარსულ წელს ჩვენი თავისუფლების განთიადს, ჩვენ გვჯეროდა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი მხარს დაუჭერდა ჩვენს საზავო ბრძოლას, რაიც ჩვენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს გამოვუცხადეთ და ჩვენი იდეალების ახლო გამარჯვების იმედით გახარებულნი ჩვენი ძალების მობილიზაციას ვახდენდით.

იმ დღეს ჩვენი გული არ ყოფილა სევდით მოცული და გამარჯვებულის სიხარულით იყო გამსჭვალული ჩვენი იმ დღეინდელი სიტყვები.

ევროპის პროლეტარიატი, რომელსაც ჩვენ ისე ვუყურებდით, როგორც მასწავლებელს, ვერ აღმოჩნდა საკმაოთ ძლიერი და შეკავშირებული, რის გამო ჩვენმა მოწოდებამ მასში ვერ ჰპოვა შესაფერი ძლიერი გამოძახილი.

ჩვენი მტრები ხარობენ. ჩვენ შესაფერისათ ვერ დავაფასეთ ჩვენი ძალები. შეფერხებამ ამ ნიადაგზე ჩვენ ჩამოგვაშორა ობიექტივობას, დამნაშავეებს ჩვენს წრეებში დავუწყეთ ძებნა და ამით შევასუსტეთ საკუთარი ძალა და დავარღვიეთ რევოლიუციონური ფრონტის მთლიანობა.

მაგრამ მტრების დღესასწაული ნაადრევია. ძველმა წყობილებამ მოჭამა თავისი დრო და ის ხალხი, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება, შეიგნებს მის სარგებლობას და შესძლებს მის დაცვა შენახვას.

ამნაირ ჩვენს რწმენას ვერ შეარყევს ვერავითარი დროებითი დამარცხება, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ მთავარი მიზეზი ჩვენი დამარცხებისა—ეს არის ძველი წყობილების წყეული მემკვიდრეობა—ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენა, ხალხის უმეცრება, მისი იძულებითი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ჩამოშორება და ის უსაზღვრო დაღლილობა წაგებული ომით, რამაც სრულ არევ დარევამდე მიგვიყვანა.

მაგრამ ის ხალხი, რომელიც ინახავდა ამოდენა შემოქმედებითი, დაუმუშავებელ ძალას, რა თქმა უნდა, დროებითი წაფორხილებით ან დამარცხებით არ დაიღუპება და კიდევ უფრო გამაგრდება, ბრძოლით გამოსჭედს თავის ფოლადის კუნთებს და რკინის ნების ყოფას.

და უკეთუ რუსეთის მუშათა კლასმა პირველმა დასძახა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის ყიჟინა, მაშინ ის თავის დარღვეულ წრეებს შეჰკრავს და დაივიწყებს რა იმ უთანხმოებას, რომელიც მას ამ ჟამად გულს უღრღნის, შეჰქმნის ერთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს მოპოვებული თავისუფლების დასამკვიდრებლად.

ჩვენი მოწოდება ყველგან ჰპოვებს გამოძახილს და შორს არ არის ის დრო, როცა ევროპის პროლეტარიატი გაიგებს, რომ კაპიტალიზმის უღლის მოშორება მას შეუძლია არა იმპერიალიზმის გაძლიერებით, არამედ—მხოლოდ კაპიტალიზმთან შეუპოვარი ბრძოლით, ყველა ქვეყნის მუშებთან ერთად.

ეს არის პირველი მაისის სადღესასწაულოთ ჩვენი ლოზუნგი!

და პირველ მაისს, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშებს გაერთიანდენ ჩვენი რევოლიუციონური წითელი დროშის გარშემო, იმ დროშის გარშემო, რომელიც შეღებილია თავისუფლებისთვის მებრძოლთა სისხლით, იმ დროშის გარშემო, რომელსაც აწერია ყველა ქვეყნის მუშათა ძმობა, რომელი დროშაც ჩვენი დღესასწაულის და გამარჯვების ნიშანია.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ამ დღეს ყველა ქვეყნის მუშები დასძახებენ:

„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

თფ. მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭ.
აღმასრულებელი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის მომავალი

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებამ ჩვენს წინ მრავალი პერსპექტივები წამოაყენა. დღეს საერთაშორისო ურთიერთობა იმ გვარათ შეიცვალა, რომ რუსეთის სხვადასხვა კუთხეებს ისტორიული ორიენტაცია შეეცვალათ და ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ცენტრალურ სახელმწიფოებს უკავშირდებიან.

ესა თუ ის ორიენტაცია მუდამ და ყოველთვის ცვალებადობის ხასიათისაა და ხშირათ დიდი სახელმწიფოებიც კი გარემოების მიხედვით იცვლიან მას. ამ ჟამათ არ დარჩენილა ისეთი მხარე, რომელსაც ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე ახალი გადაჯგუფება არ მოეხდინოს და მსოფლიო ასპარეზზე ახალი მოკავშირე არ გამოეძებნოს. ასეთია თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ტენდენცია.

მას მერე, რაც ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირმა გაიმარჯვა, მას მერე რაც გერმანიის იმპერიალისტებმა აღმოსავლეთისაკენ გზა გაიკაფეს და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ფეხი მოიკიდეს, რუსეთის დასავლეთით გამაგრდენ და ბოლოს ბალტიის ზღვიდან შავს ზღვაზე გამოვიდენ—აქ დასახელებულ ადგილების მახლობლათ მდებარე ქვეყნები თუ ხალხები იძულებულნი გახდენ ძველ მოკავშირეებს გამოყოფოდენ, ახალი მოეძებნათ და ამ გზით დაეწყოთ ერთგვარი დამოუკიდებელი ცხოვრება. მდგომარეობა ყველაფერია—დანარჩენი კი მისი ზედნაშენია.

სწორეთ ასეთივე ბედი ეწია ამიერ-კავკასიას და აქ მოსახლე ერებსაც. ამათ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და იძულებული ხდებიან თავიანთ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას შესაფერი გზა გაუკაფონ. ჩვენ ძლიერ და უტყუარ ფაქტის წინაშე ვდგევართ. საუკუნოებით მოკავშირე სახელმწიფო ანუ წვრილწვრილ რესპუბლიკათ დაქუცმაცებული რესპუბლიკა ანარქიის მეოხებით დასუსტდა—დაიშალა და იგი ჩვენს მხარეს ვერავითარ დახმარებას ველარ უწევს. ამას ემატება რუსეთისავე საშიში ანარქია და ცენტრალურ სახელმწიფოების გამარჯვება. ამ ორ ურთიერთობის მეოხებით ჩვენ იძულებულნი გავხდით დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია და რუსეთის ორიენტაცია საკუთარ ორიენტაციაზე შეგვეცვალა.

დასახელებულმა გარემოებამ პოლიტიკური მოღვაწეები და სხვადასხვა კლასების იდეოლოგები და თითეული ამათგანი ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის მომავალს სხვადასხვა სახით გვიხატავენ. ჩვენ პესიმისტების საყურადღებოთ გადაჭრით ვღვიარებთ, რომ თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოების შეურყეველი ტენდენციაა განუვითარებელი ქვეყნები თავისი ეკონომიური გავლენის ქვეშ დააყენონ და მათთან ასე თუ ისე კავშირი დაიჭირონ.

ჩვენი ქვეყანა მთელი საუკუნის განმავლობაში ეკონომიურათ და პოლიტიკურათ რუსეთთან იყო დაკავშირებული და ეს კავშირი, უნდა ითქვას, ბუნებრივი არ ყოფილა. ჩვენ ვამბობთ ბუნებრივი არ ყოფილა, ვინაიდან თვით რუსეთი კაპიტალისტურათ განუვითარებელი იყო და მისი ტერიტორიების გაფართოება საწარმოვო წესის აღორძინების მეოხებით არ ყოფილა გამოწვეული. ტიპიური აგრარიული სახელმწიფო კაპიტალისტურ სახელმწიფოებისავით უფრო მეტათ მრავალ ადგილებს იპყრობდა და იქ უმთავრესათ პოლიტიკურათ ბატონდებოდა.

მართალია, შემდეგში იგი პოლიტიკურ ბატონობას ეკონომიურ ბატონობასაც უმატებდა, მაგრამ ასეთი ბატონობა არ ყოფილა ბუნებრივი. ძველმა ბიუროკრატიამ თავის საზღვრებს ჩინეთის კედლები შემოავლო, განვითარებულ ქვეყნებიდან ინდუსტრიალურ ნაწარმოებს არ უშვერდა. თუ შემოქონდათ ისეთი მაღალი საბაჟო გადასახადების მეოხებით, რომ რუსეთის განუვითარებელ სამრეწველო წარმოებას ზიანი არ მოსდიოდა. ამ გზით რუსეთი განაპირა ქვეყნებზე ეკონომიურათ ბატონდებოდა ხალხის ბარბაროსულ ექსპლოატაციის მეოხებით.

მაგრამ ახლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ცენტრალურმა სახელმწიფოებმა თავიანთ ისტორიული მიზანი სისრულეში მოიყვანეს; რუსეთს მრავალი ადგილები ხელიდან გამოსტაცეს და თავიანთ გავლენის ქვეშ აყენებენ. მართალია ყოველი ეკონომიური გავლენა დიდ ბედნიერებათ არ ჩაითვლება, მაგრამ გაცილებით უკეთესია, როცა განუვითარებელ ქვეყნებს ეკონომიური კავშირი დაწინაურებულ სახელმწიფოებთან ექნება.

ამიერ-კავკასია ამიერიდან მომხმარებელი ქვეყანა აღარ იქნება, დაწინაურებული და განვითარებული ცენტრალური სახელმწიფო საქონლის სახით საწარმოვო იარაღებსაც შემოიტანენ და ეს კი უკან ჩამორჩენილ ქვეყნისათვის დიდი ნუგეში იქნება. გერმანიის კაპიტალის ზეგავლენით აქაც საძირკველი ჩაეყრება თანამედროვე წარმოების ურთიერთობას.

განსაკუთრებით ახლა, როცა მთელი რუსეთი ეკონომიურათ მოიშალა, კომუნისტთა პარტიის მეოხებით მთელი წარმოება დაინგრა, იგი კარგა ხნით ვერ გამობრუნდება და ის განაპირა ქვეყნები, რომლებიც მის კავშირში დარჩება ეკონომიურათ უფრო მეტათ დაქვეითდება.

ამ სახით დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიას აუცილებლათ ახალი ეკონომიური პერსპექტივა მოელის და ეს პერსპექტივა მომავალში დაბოლოს ცუდს არაფერს უქადის. **მხოლოდ საჭიროა ჩვენ კავკასიის დამოუკიდებლობა გავამაგროთ, შინაური ანარქია მოვსპოთ და ახალ ცხოვრებას მომზადებული შევხვდეთ.** ასეთია ჩვენი აუცილებელი მომავალი და ამ ნიადაგზე უნდა ვიმუშავოთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვის ეხმარებიან?

„კუბანსკაია პრავდას“ (Кубанская Правда) მე-46 ნომერში მოთავსებულია ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მოწოდების საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო რუსეთის დემოკრატიისადმი, წერილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ „კუბანსკაია პრავდა“ ყოველ დღიური გაზეთია არმავირის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა. აი ამ გაზეთში შემდეგს პასუხს გვაძლევენ:

„კუბანსკაია პრავდაში“ დაბეჭდილი იყო,—სწერენ ამ გაზეთში,—მოწოდება ამიერ-კავკასიის გაერთიანებული მოღალატე მენშევიკების და მემარჯვენე ესერებისა მათი უკანონო სეიმის მეთაურობით.

მთელმა ამ „შაიკამ“ თავისი ბოროტი პოლიტიკით ამიერ-კავკასია დაღუპულ მდგომარეობამდე მიიყვან ისე, რომ ეს მოღალატენი შველას თხოულობენ. რატომ გვთხოვენ ჩვენ შემწეობას და არ მიმართავს თავის მეგობარ კორნილოვცებს და კალედინცებს, რომელთაც ყოველთვის თანაუგრძნობდენ? მაგრამ მსურს, მოქალაქენო, თავის მხრივ მოვიყვანოთ ფაქტები, მოვხსნა ამ მოღალატეების ნიღაბი და ხმამაღლა ვუთხრა ყველა რუს მოქალაქეს, რომ ამიერ-კავკასიაში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობაა ეკისრება მოღალატე მენშევიკებს და კომპ. მათი დაღუპვა მათივე ნებაა. ისინი თვით მიდიოდენ ამისკენ გიგანტური ნაბიჯით.

როდესაც დაიწყო რუსეთში პროლეტარული რევოლიუცია, მაშინ ამ მოღალატეებმა ხელთ ჩაიგდეს ძალა უფლება. რას აკეთებენ ისინი? აი რას:

1) მთელ ლიტერატურას, რომელსაც პეტროგრადიდან გზავნიდენ ჯარისკაცებში და ღარიბ მცხოვრებთა შორის საპროპაგანდოთ, ისინი სწვავდენ.

2) თითქმის ყველა სადგურზე და ყველგან მათ მოაწყვეს ველური დივიზია, რომელიც ჰკლავდა და სწვავდა ყველაფერს თავის გზაზე და არ ზოგავდა ქალებს და ბავშვებსაც კი.

3) ქალაქ თფილისში, გასული წლის დეკემბერში მუშათა საბჭომ ბალშევიკების ძალდატანებით მოაწყო სახალხო საღამო (народный вечеръ) ალექსანდროვის ბაღში, რომელიც დახურული იქნა იმავე მოღალატეებისაგან, ბევრ ორატორს სცემეს და ზოგი სიკვდილის პირზე მიაყენეს.

4) ძალა-უფლება უჭირავთ ხელში მხოლოდ ავაზაკური ტყუილით (мошенничество). არ სცნეს სახალხო კომისართა საბჭოს ძალა-უფლება, შეადგინეს ამიერ-კავკასიის არა კანონიერი (не законный) სეიმი და შეუერთდენ ამიერ-კავკასიის ყველა კონტრ-რევოლიუციონერს და კორნილოვცებს—კალედინებს.

5) გაცარცვეს არსენალი, გააგზავნეს იარაღი და ტყვია ყირიმში (въ Крымъ) თავის ამხანაგებთან კალედინცებთან. მხოლოდ 32 ვაგონს ბალშევიკებმა რეკვიზიცია უყვეს.

6) რუს ჯარისკაცებმა უარი სთქვეს დაეცვათ უცხოთა საზღვრები—უცხო თვითნება მთავრობა და მოითხოვეს უკან რუსეთში დაბრუნება საბჭოების ძალა-უფლების დასაცავათ. ჩვენმა ჯარებმა მხოლოდ ბრძოლით შესძლეს გამოსვლა ავაზაკებიდან. დაბრუნებისას მოხდა ძლიერი შეტაკებები და დაიღუპა 20.000 ჩვენი ჯარისკაცი, ჩვენი ამხანაგი.

7) მენშევიკების შაიკები ხოცავდენ ოჯახებს—გასცარცვეს ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი, მოუტანეს მთელ ხალხს რამოდენიმე მილიარდ მანეთის ზარალი.

8) მეორე საარმიო საეზდზე, 1917 წ., შობის წინა დღეს საბჭოს არჩევნებში გავიდა 52 ბოლშევიკი და 48 მენშევიკი. ძალა-უფლების გადაცემაზე მათ უარი უთხრეს ახლათ ამორჩეულებს.

9) საზავო მოლაპარაკების დროს მათ სურდათ ოსმალეთთან ცალკე მოლაპარაკების გამართვა, მაგრამ ოსმალეთი ალბათ რაიმე მიზეზის გამო არ დაეთანხმა.

10) ყველა კონტრ-რევოლიუციონერი იმალება ამიერ-კავკასიაში თავის ამხანაგ მენშევიკებთან და ესერებთან.

იქნება ისეთი მოქალაქე მთელ რუსეთის რესპუბლიკაში, ვისაც ეჭვი შეეპარება, რომ იქ საბჭოს ძალა უფლების წინააღმდეგ არ მზადდება ახალი შაიკები. სანამ ეს რევოლიუციის მოღალატენი არ სცნობენ საბჭოთა მთავრობას.

ამხანაგებო! არ მისცეთ არც ერთი გროში ფული, არც ერთი გირვანქა პური და არავითარი დახმარება რევოლიუციის გამცემლებს. ჩვენი დახმარება მხოლოდ მათ—ვინც იცავს დიდ სოციალისტურ რესპუბლიკას. ამ მოწოდებით მათ შეუძლიათ მიმართონ ჩვენს მტრებს და არა ჩვენ, მშრომელთ.

მოქალაქენო! სადაა გარანტია მათი პატიოსნებისა, რადგან მათ გაყიდეს თავისი პატიოსნება და თავისი სინდისი, გაყიდეს ყველაფერი, ყველაფერი, მოვუწოდებ ყველა მოქალაქე—ამხანაგებს მოეპყრას ფრთხილად ამ მოწოდებას. იცოდეთ, რომ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია შეერთდა მშრომელ პროლეტარიატის წინააღმდეგ, როგორც ეს კუდა მოღალატეებიც.

სახალხო კომისართა საბჭომ შეეკითხა მათ, კიდევ დიდხანს გააგრძელებენ თავის მოღალატურ მოღვაწეობას თუ არა და მოიხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა მათ მომავალის შესახებ. და აი, ახლა მათ თავისი თავი დაღუპვამდე მიიყვანეს. როგორ ხმამაღლა ფრაზებში ეფარებიან დღეს, არა, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, ამბობს ანდაზა, და დეე ახლა თვით იგემონ თავისი მოქმედების ნაყოფი. ჩვენ არ წავალთ მათ დასახმარებლათ. კმარა ჰუმანიზმი, ისინი უსმენენ მხოლოდ ხიშტებს, და დეე ამისგან დაიღუპონ. ეს ბედია ყველა მათი, ვინც მიდის ჩვენ წინააღმდეგ, ხალხის წინააღმდეგ. დაე მათი დაღუპვა, იყოს გაკვეთილი ყველა მოღალატისათვის აქ, არმავირში და მთელ კავკასიაში.

ვინც ჩვენი წინააღმდეგია, მათ გავჟლეტთ (будутъ истреблены).

ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი წინააღმდეგია. და ვაი და წყევლა-კრულვა მათ.

„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“.

როგორც ხედავთ, ერთმა „პრავდამ“ ასეთი პასუხის და დახმარების ღირსი გაგვხადა!

რას იტყვიან სხვა ბალშევიკური „პრავდები“? ყოველ შემთხვევაში—ამაზე უკეთესს არაფერს!

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

16 აპრილი.

ლონდონი 25 აპრილი. გუშინ პროტესტს ხელი მოაწერეს მილიონამდე ირლანდიელებმა. თემთა პალატის ირლანდიელ წევრებმა გადასწყვიტეს არ დაესწრონ პარლამენტის სხდომებს და დარჩენ ირლანდიაში, რომ შექმნან აქტიური ოპოზიცია ჯარში გაწვევის შესახებ ახალი ბილის (კანონის) წინააღმდეგ. კონფერენციის შემდეგ ყველა ირლანდიელი დეპუტატები გაემგზავრნენ თავის საარჩევნო ოლქებში. დეპუტატები არწმუნებენ ამრჩეველთ არ სცნონ ჯარში გაწვევის აქტი და გაკიცხონ იგი. არც ერთმა—განაცხადა ერთმა დეპუტატმა—არ უნდა იმაცადინოს შეღავათის შესაძენათ, ყველამ უნდა უარი განაცხადოსო. ირლანდიის მუშათა ყრილობამ დაადგინა პროტესტი განაცხადოს ჯარში გაწვევის წინააღმდეგ და გამოაცხადოს დღეს 1 დღით გაფიცვა, რომ მუშებსაც მისცენ საშუალება ხელი მოაწერონ პროტესტს. ყრილობის თავმჯდომარე ლორდ ბანორიმ განაცხადა, რომ მუშათა ყრილობის გადაწყვეტილებას იგი წარუდგენს პრეზიდენტ ვილსონს.

ბერლინი. 24 აპრილი. გერმანიის ცნობა. ყირიმში გენ. კოშის ჯარმა მიაღწია სიმფეროპოლს.

მოსკოვი. 25 აპრილი. გუშინ, დღის 12 საათზე, გრაფმა მირბახმა ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი. ლაპარაკი იყო რწმუნების საბუთების ჩაბარების შესახებ. დრო და ადგილი ამ დოკუმენტების ჩაბარებისა დაინიშნება აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. ჩიჩერინს წარუდგა აგრეთვე ოსმალეთის ელჩი.

პერმი. 25 აპრილი. საბჭოთა საგუბერნიო ყრილობას დაესწრო 607 დელეგატი. მათ შორის 211 ბალშევიკია და 307 მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერი. მიიღეს დადგენილება ქალაქის და ერობის თვითმართველობათა გაუქმების შესახებ, მათი ფუნქციები ვადაეცემა საბჭოებს.

მოსკოვი. 25 აპრილი. უკრაინაში გერმანელებსა და გლეხებს შორის გაძლიერებულ რეკვიზიციის ნიადაგზე დამოკიდებულება თანდათან მწვავდება, იყო შემთხვევა, როცა საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. გერმანელების მდგომარეობა უკრაინაში თანდათან უარესდება პარტიზანულ რაზმების მოწყობის გამო.

ლონდონი. 25 აპრილი. გარეშე საქმეთა კომისარიატმა მიიღო აღმოსავლეთ ციმბირიდან შემდეგი ცნობა: 17 აპრილს ირკუტსკში სასტუმროში დაატყვევეს იაპონელთა ადგილობრივ ახალშენების წარმომადგენლები, მინამი და სუგინო, რომლებიც გამოტეხეს ჯაშუშობაში. ეს გამოირკვა იმ საბუთებიდან, რომელიც ჩამოართვეს სადგ. ბორზიაში ხარბინიდან ირკუტსკში ორი იაპონელისა და ორი ჩინელის მიერ საიდუმლოთ გატანის დროს. ეს უკანასკნელებიც დაატუსაღეს. მინამისა და სუგინოსთან ერთათ დაატყვევეს აგრეთვე რუსეთის ქვეშევრდომი ქალი კორნილოვა—კაპუსტინა, რომლის საშუალებით იაპონელი ჯაშუშები აპირებდენ ირკუტსკში მიეღოთ საჭირო ცნობები და საბუთები, რომლებშიაც ისინი მზათ იყვენ მიეცათ დიდძალი ფული. დოკუმენტები იპოვეს ხარბინის იაპონიის საელჩოს მოსამსახურესთან, რომელსაც ეს დოკუმენტები მიჰქონდა ირკუტსკის საელჩოში. მოსამსახურეს აღმოაჩნდა წერილი რუსულ ენაზე. ერთ წერილში ნათქვამია: „პასუხი გამოგვიგზავნეთ ირკუტსკის იაპონიის ელჩის საშუალებით“. დატყვევების შესახებ გაიგეს ირკუტსკის იაპონელებმა, მათ მოინდომეს ქრთამით და დოკუმენტების შეცვლით დატუსაღებულების განთავისუფლება. სცადეს აგრეთვე დარაჯებზე თავდასხმა. დაატყვევეს კიდევ რამდენიმე კაცი. წერილებიდან ირკვევა, რომ იაპონელები შეიარაღებულ ძალით ხელს უწყობენ ხარბინის კონტრ რევოლიუციონერებს. იაპონიის ელჩი შუამდგომლობს მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის სამინისტროს დელეგატის მინამის განთავისუფლების შესახებ.

კალუგა. 24 აპრილი. შკლოვში რუსეთის ყოფილი კამენდატი მუშაობს გერმანელებთან ერთად. მაღაზიებში გერმანელები ყველაფერს რეკვიზიციას უშვებიან. სოფ. ზარევიჩიდან მათ წაიღეს 200 ფუთი თივა, 100 ფუთი ქერი და ამდენივე გამომცხვარი პური. სვეჩაში ისინი ნებას არ აძლევენ გლეხებს მოხნან მიწა. მცხოვრებთ მხეცურათ ეპყრობიან.

17 აპრილი.

ვიტებსკი. 25 აპრილი. ადგილიდან გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

პეტროგრადი. 25 აპრილი. საბჭოთა ჯარმა შესძლო მოწინააღმდეგის ჯარის უკუგდება სადგ. სკრინცევოდან. საერთოდ საბჭოთა ჯარის მდგომარეობა ვორონეჟ—ლისკის რაიონში რამდენიმეთ გაუმჯობესდა.

პეტროგრადი. 25 აპრილი. ბულგარიის ელჩათ რუსეთში დაინიშნა მაჯაროვი.

პეტროგრადი. 25 აპრილი. ცნობა მოვიდა ცნობილ პროვოკატორის დეგაევის მოკვლის შესახებ. რუსი პროვოკატორი მოკლეს ამერიკაში ინტერნაციონალისტ-ტერორისტების დადგენილებით.

მოსკოვი. 26 აპრილი. საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილემ მიმართა ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის წარმომადგენლებს შემდეგი ნოტით: „სა-

არიო საქმეთა სახალხო კომისარიატი, აახლებთ რა ამასთანავე დოკუმენტებს ციმბირის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების [illegible] შესახებ, თხოვთ აცნობოს ინგლისის მთავრობას შემდეგი: გამოქვეყნებული დოკუმენტები უეჭველად ამტკიცებენ, რომ ამ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის აელჩოს წარმომადგენლები ვლადივოსტოკში. ამავე სახელმწიფოთა დიპლომატიის წარმომადგენლებს პეკინში დამოკიდებულება ჰქონდა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან, რომელიც ციმბირის მთავრობას უწოდებდა თავის თავს. ამის გამო კომისარიატი მოითხოვს ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეს, თუ რა დამოკიდებულებაშია ინგლისის მთავრობა რუსეთის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასთან.

კუოკალა. 25 აპრილი. ფინლიანდიის წითელ და თეთრ გვარდიელთა შორის ბრძოლა გრძელდება. ბელო-ოსტროვის რაიონში თეთრ გვარდიელებმა გააკეთეს ხიდი სესტრა-რეკაზე. მაგრამ ამ ხიდზე გასულ თეთრ გვარდიელებს იარაღი აყარეს. წითელ გვარდიელებმა დაწვეს ხიდი.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. ზოგიერთ ფრონტებზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. კავკასიის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ყარსის სიმაგრის აღმოსავლეთით მდებარე რაიონები. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

გერმანიის რადიო. ვაზადან (ფინლიანდია) გერმანიის ჯარები ყველა ფრონტებზე, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთით წინ მიიწევენ. წითელი გვარდიელები ახლო ხანში დამარცხებული იქნებიან. პარასკევს რევოლიუციონერთა მეთაურებმა განკარგულება გასცეს დაიწყონ საზავო მოლაპარაკება, რაც უარყოფილ იქნა. მათ მოვთხოვეთ სავსებით დაემორჩილონ არსებულ მთავრობას.

მოსკოვი. წით. გვარდიაში სამსახურის შესახებ გამოცხადდა შემდეგი დეკ.: ყველა მოქალაქეს, რომელიც წითელ გვარდიაში თავის ნებით ჩაეწერება, უნდა იმსახუროს 6 თვე, ვინც თავის ნებით დასტოვებს გვარდიას, ის გადაეცემა სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალს; სასამართლოს უფლება ექნება დამნაშავეს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქის უფლებაც კი ახადოს.

ვორონეჟი. 25 აპრილი. ვინაიდან მოსალოდნელია ვორონეჟის ევაკუაცია, გუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტმა აირჩია საევაკუაციო კომისია. მენშევიკები და ს.-რ. ეწევიან აგიტაციას ევაკუაციის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 26 აპრილი. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნების შედეგი: სულ ხმა მისცა 672 კაცმა. კომუნისტებმა მიიღეს 474 ხმა, მემარცხენე ს. რევოლიუციონერებმა—49, გაერთიანებულ ს.-დემოკრ.—5, მენშევიკებმა—101, ს.-რ ებმა—35, უპარტიო—. 60 ადგილიდან კომუნისტებმა მიიღეს 42 ადგილი, მენშევიკებმა—9, მემარცხენე ს.-რ.—4, ს.-რ-ებმა—3, უპარტიო—1, გაერთიანებულ ს.-დ.—1.

პეტროგრადი. 25 აპრილი. თეთრ გვარდიელების შტაბმა წინადადება მისცა კრონშტადის საბჭოს უბრძოლველათ დაუთმოს ფორტი, ინე. საბჭოს სამხედრო განყოფილებამ დაადგინა არ დასთმოს ფორტი უბრძოლველათ და შეუდგა მის დაცვას.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. ფლანდრიაში შუადღიდან ბრძოლა გაცხოველდა. კემელთან წამოვიყვანეთ 7,100 ტყვე, ამაში 181 აფიცერია, ხელთ ვიგდეთ 53 ზარბაზანი და 233 ტყვიის მფრქვეველი. ხანგარის ტყესთან ფრანგების ძლიერი იერიში მოვიგერიეთ. მაასის მარჯვენა ნაპირას ფრანგთა სანგრებიდან რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

მოსკოვი. 25 აპრილს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საქმე. მარტოვს ბრალი ედებოდა სახალხო კომისართა საბჭოს [illegible]ილის წამებაში პრესის საშუალებით. [illegible]ომას. კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა კრილენკომ. მისი წინადადების თანახმად, მარტოვის საქმე ხელახლა გასარჩევათ გადაეცა რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

16 აპრილი.

შავი ზღვის პირის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

15 აპრილს, ყარსის მიმართულებით, სოფ. კიზილ-ჩახ-ჩახის დასავლეთით გამოჩნდენ ქურთების რაზმები, რომლებმაც სროლა აუტეხეს ჩვენს ჯარს. 9 საათზე კიზილ ჩახ-ჩახს სოფ. პლოდოროდნოედან მოუახლოვდა რეგულიარული ჯარი. ოსმალეთის პოლკის უფროსმა უთხრა ჩვენი პოლკის უფროსს, რომ მას ნაბრძანები აქვს დაიკავოს კიზილ-ჩახ-ჩახი 15 აპრილს 12 საათზე და რომ იგი დაიცავს ამ სოფელს ქურთებისაგან.

ერევნის მიმართულება. 14 აპრილს ოსმალეთის ჯარმა არტილერიით დაიწყო შემოტევა ჩვენი ჯარის წინააღმდეგ ჩანგილსკისა და უჯახის ულელტეხილზე. ჩანგილსკის ულელტეხილიდან ჩვენს ჯარს უკან დაახევინეს. იგი გამაგრდა წ. ნასირ დამზადებულ პოზიციებზე იგდირის სამხრეთით. ამავ დროს ჩვენს ჯარს, რომელიც იცავდა იგდირ-მარკარის გზატკეცილს, შემოუტიეს ქურთებმა, უჯახის ულელტეხილიდან. ჩვენ ჯარს უკან დაახევინეს, მაგრამ 15 აპრილს ჩვენმა ჯარმა კვლავ დაიჭირა ულელტეხილი. ერევნის რაზმის უფროსმა მეორეჯერ გამართა მოლაპარაკება თათრებთან და განაცხადა, რომ შეთანხმება მოხდა და მთელ კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შეწყდა.

ახალი ამბები

დღეს, პირველ მაისს მიტინგები გაიმართება გოლოვინის პროსპექტზე. ფაბრიკა-ქარხნების მუშები, პროფესიონალური კავშირები და რევოლიუციონური ორგანიზაციები მწყობრათ მოვლენ თავიანთი დროშებით სახაზინო თეატრთან დღის 12 საათზე. ილაპარაკებენ რევოლიუციონური პარტიების წარმომადგენლები. უკეთუ წვიმიანი დღე იქნება, მიტინგები გაიმართება შენობებში: სახაზინო თეატრში, ნაძალადევში, სახალხო სახლში, ავლაბრის კლუბში და მაიდანზე მუსულმანთა აუდიტორიაში.

◆ **პირველი რაიონის კოლექტივი** დღეს, დილის 10 საათისთვის იწვევს რევოლიუციის მოედანზე, ნაძალადევის თეატრთან, პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ, საიდანაც მწყობრათ წავლენ გოლოვინის პროსპექტისკენ და იქ შეუერთდებიან დიდ მიტინგს.

◆ **ოსმალების შემოსევამ** საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა გურია; მისი ნაწილი უკვე განადგურდა. ოზურგეთის ირგვლივ მდებარე სოფლებს არბევენ მტრის ველური ბრბოები. ხალხი გახიზნულია და აუწერელ გაჭირვებას განიცდის, მისი სარჩო საბადებელი კი იღუპება. ხუთშაბათს, 2 მაისს (ახ. სტ.), საღამოს 6 საათზე, დემოკრატიული კლუბის შენობაში, მუშტაიდში, გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტი იწვევს საზოგადო კრებას, რომელმაც უნდა გამონახოს საშუალება დარბეული ხალხის მოგომარეობის შესამსუბუქებლად. სთხოვენ ყველას, ვისაც კი აინტერესებს ქვეყნის ბედი, აუცილებლად დაესწრას კრებას.

◆ **საზავო მოლაპარაკება.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობების მიხედვით ოსმალეთის საზავო დელეგაცია ბათუმში მოვა 5 მაისს ახალი სტილით. ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაცია, განზრახულია, ამავე დღისთვის გაიგზავნოს.

◆ **ზაქათალის ოლქის** კომისარათ დაინიშნა მუსა-ბეკ-შაბანბეკოვი, ერევანის გუბერნიის კომისარის თანაშემწეთ —ალლახიარი ბეკ სულთანოვი.

◆ **ოფიციალურ ცნობით** ჯულფის რადიო-სადგურმა 13 აპრილს შესწყიტა მუშაობა. მიზეზი არავინ იცის. ამის გამო ჯულფის რაიონთან ყოველგვარი დამოკიდებულება შეწყვეტილია, ვინაიდან ტელეგრაფის მავთულებიც დაწყვეტილია.

◆ **ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუცია.** 14 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა მინისტრ-თავმჯდომარის ა. ი. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შესდგეს საგანგებო კომისია, რომელმაც ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა გამოიმუშაოს. ამ კომისიაში შევლენ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ პარტიების, ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლები, აგრეთვე თფილისში მყოფი პროფესორები: ღამბარაშვილი და ავალიშვილი, ნაფიცი ვექ. რცხილაძე და სეიმის წევრი რასულ-ზადე. კონსტიტუციის საბოლოოდ დასამუშავებლათ აირჩევა ცალკე კომისია, რომელშიაც შევლენ ა. ი. ჩხენკელი, ნ. ბ. რამიშვილი, საკიანი უსუფბეკოვი. მათ უფლება აქვთ კოოპტაციის სახით სეიმის წევრნი—მცოდნე პირები მოიწვიონ. კომისიამ მოკლე ხანში უნდა შეატყობინოს გადადგმულ ნაბიჯების შესახებ. ფინანსთა მინისტრს ცალკე ევალება შეადგინოს რესპუბლიკის არსებულ საფინანსო სისტემის რეფორმის პროექტი.

თვითეულ მინისტრს ევალება შეადგინოს პროექტი იმ საშუალებათა, რომლის შემწეობითაც სრულიად რუსეთის დაწესებულებანი მხარის საჭიროებას შეუფარდოს.

ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს ევალება ამიერ-კავკასიასა და უცხო სახელმწიფოთა შორის სავაჭრო სამრეწველო ურთიერთობის დასამყარებლად საგანგებო კომისიის არჩევის საკითხის გადაწყვეტა, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ზოგიერთი სამინისტროები საერთო იქნება (მაგ. ფინანსთა, გზათა მიმოსვლის და სხვა) სხვებს კი ადგილობრივი მნიშვნელობა ექნებათ, რის გამოც დებულება და შტატი ამ სამინისტროებისა არ უნდა შესდგეს, რის გამოც დაინტერესებულმა დაწესებულებებმა თვით უნდა შეადგინონ დროებით შტატები მთავრობის ნება-რთვით. ამიერ-კავკასიის მთავრობის კანცელარია გაუქმებულ უნდა იქნეს. შინაგან საქმეთა მინისტრს ევალება გადასინჯოს მთავრობის კანცელარიის მოხელეთა ჯამაგირის დებულება. სახელმწიფო ბანკის ოპერაციის მთლიანობის გამო ფინანსთა მინისტრს ევალება განაგრძოს მიღება რუსეთში გასაგზავნ ფულისა. ფინანსთა მინისტრს ევალება განაგრძოს ბონების ბეჭდვა მიუხედავათ იმისა, რომ სეიმს ჯერ არ განუხილავს მთავრობის საემისიო უფლების საკითხი. ფინანსთა მინისტრს ევალება ყოველგვარი ზომები მიიღოს, რომ უპირველეს ყოვლისა მილიცია და მფრინავი რაზმები დააკმაყოფილოს. ქ. გორის შუამ-დგომლობა 500,000 მანეთის სესხად აღების შესახებ სასურსათო მინისტრს გადაეცეს განსახილველად. რეკვიზიციის სახით ჩამორთმეულ ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშების ჯამაგირის შესახებ ფინანსთა მინისტრს ევალება აპრილის 1-მდე გაუსწორდეს მათ ჯამაგირის ნახევარის ანგარიშით.

◆ **ამიერ-კავკასიის მთავრობამ** სიღნაღის კომისარს წინადადება მისცა ყოველგვარი ზომები მიიღოს ს. დაშკოვოში მცხოვრებ უკრაინელთა დასაცავათ.

◆ **ყარსის დაცლის შესახებ.** ამ დღეებში გამოქვეყნდება ამიერ-კავკასიის მიერ ოფიციალური ცნობა ყარსის დაცლის შესახებ.

◆ **სალიტერატურო დილა.** აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, მაისის 6 სახალხო სახლში გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო დილა. 1) ივ. გომართელი—ლექცია: „თანამედროვე მომენტი“; 2) გ. ქუჩიშვილი—ახალი პოემა: „კოშკი“; 3) ძმანი კავსაძენი—სიმღერა, ილ ქურხული—სკრიპკა, ი. სალირაშვილი—თარი; 4) ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, დ. ახვლედიანი და ვ. საათაშვილი—ლექსები; 5) ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯიბლი—სცენები ბილეთების ფასი სახალხოა, იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში ნაშუადღევის 12 ს—დან 2 ს—დე, საღამოს 6—ს.—9 ს—დე.

◆ **შეცდომის გასწორება** წერილში „ახალი სტილი“ შემდეგი შეცდომებია შეპარული: „სხვაგან მაშინ 13 იანვარია“, უნდა იყოს „სხვაგან მაშინ 14 იანვარია“. სწერია: „წელს ანგარიშში ის შევა 18—30 აპრილს“, უნდა იყოს: „წელს ანგარიშში არ შევა 18—30 აპრილი“. სწერია: „ჯას ექნება მხოლოდ 252 დღე“, უნდა იყოს: „...353 დღე“.

კრებები და მიტინგები.

პარასკევს, 3 მაისს, საღამოს 7 საათზე სასახლის თათრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის გაერთიანებული ცენტრის სხდომა.

პროვინციის ქრონიკა

ბორჯომი 15 აპრილს ბეითალ ერმოსკის თავმჯდომარეობით მოხდა რუსულ ეროვნულ საბჭოს განყოფილების კრება. კრების გახსნამდე თავმჯდომარემ წინადადება შემოიტანა სხვა ეროვნების წარმომადგენლების დასწრების შესახებ. არ ვიცით თუ რათ დასჭირდა ბ. თავმჯდომარეს ასეთ ახირებულ წინადადების შემოტანა, რადგან კრებას არ ქონდა გასარჩევი არც ერთი, სხვა ეროვნებისათვის დასამალავი საკითხი. წინადადება უარყოფილ იქნა. მომხსენებლად გამოვიდა ი. ს. პატრიკეევი. მან გააკეთა ვრცელი მოხსენება ოცდათერთმეტ მარტს თფილისში გახსნილ რუსულ ეროვნულ ყრილობის შესახებ. როგორც მომხსენებელმა გადმოგვცა, ყრილობას მიუღია მთელი რიგი საყურადღებო რეზოლიუციებისა. საეჭვო იყო მხოლოდ ზოგიერთ პროვინციებიდან მოხსენებები, თითქოს რუსებს, როგორც ერს, ადგილობრივი მცხოვრებნი ავიწროვებდენ, კლავდენ, ძარცვავდენ, მიწებს უხნავდენ და სხვა. ამას გარდა ამ კრებაზე დასმული იყო რამოდენიმე საყურადღებო კითხვები; როგორიცაა მაგალითად დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკასთან, მიწის, სკოლის და სხვა საკითხები.

სამწუხაროდ, არც ერთი ამ კითხვების გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიუღია კრებას. მხოლოდ გაიმართა კომიკური ბაასი საბჭოს და კრების თავმჯდომარეთა შორის, რომელთა თავსამტვრევი საკითხათ გადაიქცა რუსების მდგომარეობა დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში. შეეძლება თუ არა რუსებს ამიერ-კავკასიაში დარჩენა და თუ დარჩებიან, ვისი ქვეშევრდომათ უნდა ჩაითვალონ და სხვ. თავმჯდომარეებმა ბევრი იდავეს, მაგრამ ვერავითარი დასკვნის გამოტანა ვერ შესძლეს და თითქმის ყველა კითხვები ღიათ დასტოვეს. მხოლოდ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა საწევრო გადასახადზე, მაშინ კრების წევრმა დოლენკომ განაცხადა, რომ ვინაიდან აქ რუსებს ავიწროვებენ, არ არის არც პური და არც ფული მაშინ, როდესაც შიგ რუსეთში ყოველივე ეს საკმაოდ არის, ჩვენ იძულებული ვართ კუთვნილი ჯამაგირი ავიღოთ და რუსეთში გავემგზავროთ. ამ განცხადების შემდეგ სიტყვა ითხოვა ამხ. მ. ახალაძემ, რომელმაც აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც ამიერ-კავკასიას მოუხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება. გამოეყო არა რუსეთის დემოკრატიას, არამედ რუსეთის ავანტიურისტებს, რომლებმაც გახადეს რუსეთის ტერიტორია გერმანელების სათარეშოთ.

სამწუხაროთ, ბ. დოლენკოს განცხადებას რამოდენიმე მუშებმაც ხმა მისცეს. ადგილობრივი შუშის ქარხნის მუშებმა სისტემატიურათ იწყეს რუსეთისაკენ გამგზავრება. ეს, რასაკვირველია, მათი ნებაა, მაგრამ სხვადასხვა პროვოკაციულ ხმებმა რომ არ შეიყვანოს ისინი ისეთ შეცდომაში, რომლის გამოსწორება გვიან დაურჩეთ, ჩვენი ვალია გავაფრთხილოთ ამხ. მუშები, ასეთი სერიოზული საკითხი ჯერ განიხილონ მუშათა საბჭოში, შეადარონ სარწმუნო წყაროებიდან რუსეთის და ამიერ კავკასიის პოლიტიკურ - ეკონომიური მდგომარეობა, გაითვალისწინონ ყველა ეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგან მოფიქრებული ნაბიჯი.

თავდაცვა გარეშე მტრისაგან

მოწოდება

3 აპრილიდან თფილისში მოქმედებს „გურიის თავდაცვის დამხმარე საზოგადოება“, ამ საზოგადოების მიერ არჩეული კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას: საზოგადო კრების დადგენილების თანახმად იგი აგროვებს შემოწირულებას, ადგენს მებრძოლ და სანიტარულ რაზმებს. დიდი დახმარება არის საჭირო. გურიის საგრძნობი ნაწილი განადგურდა, მცხოვრებნი გახიზნულია და მათ ქონებას შემოსეული მტრის ბრბოები იტაცებენ; ხალხი დამშეულია და აუწერელ გაჭირვებას განიცდის, მინდვრები დაუთესავი რჩება; ბრძოლაში დახოცილ გმირთა ოჯახები უნუგეშოთ არის დატოვებული. ქვეყანა საშინელ განსაცდელში ჩავარდა. ამ საერთო უბედურობის დროს, როდესაც პირდაპირ არის დაყენებული ჩვენი ყოფნა არყოფნის საკითხი, ყველა ვალდებულია მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის თავდაცვის საქმეში ენერგიულად გაუმაგროს ზურგი მათ, ვინც ბრძოლის ასპარეზზე პირველ რიგში დგას; ვინც აქტიურ მონაწილეობას არ იღებს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, დაე ის ნივთიერად დაეხმაროს საქმეს უხვი შემოწირულებით. მოქალაქენო! დააჩქარეთ თქვენი წვლილის შემოტანა. გახსოვდეთ, რომ დღეს უნდა გადაწყდეს ჩვენი ქვეყნის ბედი.

შემოწირულების მიღება და რაზმში ჩაწერა სწარმოებს ყოველდღე, საღამოს 4—7 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, „ერთობის“ რედაქციის ბინაზე.

გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტი.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში

(ირაკლი წერეთლის მოხსენება).

შთაბეჭდილება.

შაბათი, 14 აპრილი, სწორეთ, რომ ფრიად მნიშვნელოვან დღეთ აღინიშნება რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა ცხოვრებაში. 14 აპრილი, ვფიქრობ, დიდხან არ დაავიწყდება რკინის გზის პროლეტარიატს.

14 აპრილს მან სთქვა თავისი სიტყვა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ დემ. რესპუბლიკათ გამოცხადების შესახებ. 14 აპრილს გამოიტანა მან დიდმნიშვნელოვანი განაჩენი დიდი პოლიტიკური აქტის შესახებ.

12 საათზე იყო დანიშნული სახელოსნოებში მუშათა კრება. მომხსენებლათ მიწვეულია კაკი წერეთელი. გზაში შევხვდით ერთმანეთს კრებაზე მიმავალი რამდენიმე ამხანაგი, მათ შორის ფრონტიდან ახლად ჩამოსული ვ. ჯუღელი და ა. დგებუაძე. მივიჩქარით... დიდის ინტერესით მივიჩქარით...

მთავარ სახელოსნოს კარებს მიუახლოვდით... აჰა, მოისმის მაღალი ხმა ორატორისა,—ეს ნაცნობი ხმაა, ეს ირაკლია. იქ წერეთელი სჭექს და ქუხს... შევედით. მშვენიერი სანახაობაა. დიდებული, დაუვიწყარი სურათი გადიშალა ჩემ თვალწინ.

უზარმაზარი სახელოსნო მუშებითაა გავსილი. იქ—შუაში—აღმართულ ტრიბუნაზე სდგას მჭევრი სიტყვის და ღრმა აზრის მთესველი წერეთელი.

თავისი ცეცხლისმფრქვევი თვალებით დასცქერის იგი პროლეტარიატს და მის საღ გონებას, მის აზროვნებას ეძახის, მოუწოდებს ხმითა ძლიერით...

ბევრგან მინახავს წერეთელი ლაპარაკის დროს, მაგრამ ისე, თითქოს, არასოდეს არ შვენოდა მას ტრიბუნაზე ყოფნა, როგორც აქ—რკინის გზის სახელოსნოში... რკინის გზის მუშათა შორის...

ზღვა ხალხი არაჩვეულებრივის ინტერესით უსმენს წერეთელს. მრავალი მანქანებზე გასულა, სხვადასხვა მაღლობ ადგილებზე შემდგარან, ყველას სწყურია კარგათ გაიგონოს და შეითვისოს ღრმა შინაარსიანი სიტყვა იშვითის ორატორისა.

გულში სიამაყე ვიგრძენ ამ დიადი სურათის ნახვით. აი პროლეტარული ლაშქარი და ღირსეული ბელადი, აი მშვენება და სიამაყე რევოლ უციონური დემოკრატიის...

— „აი ორატორი, აი სიტყვა“—წამოჩურჩულა ცნობილმა მუშამ ალექსანდრე დგებუაძემ, რომელსაც სიხარულით სახე უცინოდა.

პირველი სიტყვა დასრულდა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადების ისტორიული აუცილებლობა და საჭიროება დასაბუთებულია.

დიდი კითხვა ნათელი და გარკვეულია.

პროლეტარიატის გონება ჩასწვდა დიდი კითხვის სიღრმეს და თავისი ერთსულოვანი ტაშის გრიალით დაადასტურა ბელადის მიერ წამოყენებული დებულებანი..

სახე მომღიმარი, მოხსენებით კმაყოფილი სდგას ლაშქარი და მოწინააღმდეგე ორატორებს ელის.

— „ვინღა გამოვა მაგის შემდეგ და რაღას იტყვის მაგაზე უკეთეს?“ ეუბნება ჭაღარით მოსილი მუშა თავის ამხანაგს.

— „აბა ვნახოთ, ეჰე, ავიდა, ყური დაუგდოთ“ უპასუხებს იგი.

ხალხი უსმენს მოწინააღმდეგე ორატორებს, აქა-იქ თითო ოროლა ტაშით აჯილდოვებენ მათ თავიანთი მიმდევრები. ზოგის წრეს გადასული დემაგოგია უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ დემაგოგ ორატორს ხელს არავინ უშლის, დინჯათ უსმენს ყველას გაწვრთნილი პროლეტარი, სრული წესრიგია, იშვიათი წესრიგი ბოლომდის. ეს დისციპლინის მქონე პროლეტარული რაზმია, ეს ბრძოლაში ნაწრთობი, ტანჯვის ცეცხლში გატარებული ლაშქარია, ეს თფილისის მუშათა მოძრაობის მთავარი ნერვი, მისი სული, მისი ფიქრი, აზრი და გონებაა.

სიამით აღვსილი შევცქეროდი ამ ჩვენს იმედს და სასოებას და გულში ასე ვეუბნებოდი მას:

— „ქება და დიდება შენ სარევოლიუციო ლაშქარო პროლეტარიატისავ, დიდება იმ პარტიას, ვის ბანაკსაც შენ ამშვენებ, ვისაც შენ უმაგრებ ზურგს და ბოლომდის მიჰყვები მას..

შენ გეკუთვნის სავსებით ფერდინარდ ლასსალის უკვდავი სიტყვები: „შენ ხარ სიმართლე, შენ ხარ სინათლე, შენა ხარ საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ტაძარი მომავლისა“.—შენის მადლიანის მარჯვენით შენ ააგებ ამ „მომავლის ტაძარს“, ცეცხლში ნაწრთობო, პროლეტარო, ისტორია შენსკენაა, ჭეშმარიტათ შენი არის მომავალი“... ბოლშევიკების მომხრე ორატორს—ესერები მოყვებ. ეს თუმანოვი და თარხანოვია. იგინი სეიმის წევრებია უკიდურესი „მემარცხენენი“. აქ წარსდგენ იგინი მუშათა წინაშე და თავისი თავი სავსებით გააცნეს მათ. გულახდილათ უნდა ვაღიარო, მე შემრცხვა მათ მაგიერ. ახალგაზდა თუმანოვი, ეტყობა, პოლიტიკაში ჯერ სულ ახალი კაცია, იგი უფრო სოფლის საშვალო პროპაგანდისტია, დინჯი პოლიტიკური მოღვაწის ჯერ მას არაფერი სცხია.

თარხანოვთან შედარებით ის ნაკლები დემაგოგია, მაგრამ ამ სენით ისიც გვარიანათ გამსჭვალულია. ვაკვირდებოდი ამ ყმაწვილის ლაპარაკს და გულწრფელათ ვწუხდი, რომ იგი ასე მალე დამდგარა დაღუპვის გზაზე...

თარხანოვი, ეტყობა, კაი ხნის გაქნილი უნდა იყოს, იგი გაბედული კაცი ყოფილა, ხოლო ასეთს გაბედულობას ჩვენში უტიფრობას ეძახიან.

მახსოვს—ბ. თარხანოვი, მუშათა და გლეხთა ცენტრის ერთ-ერთ კრებაზე რა თავგამოდებით იცავდა გადამჭრელ ზომების მიღებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ცეცხლითა და მახვილით აპირებდა იგი მათთან გასწორებას. გამოეთიშა იგი თავისავე ამხანაგებს და ხმა მისცა წინააღმდეგ იმ რეზოლიუციასა, რომელიც არ იზიარებდა მაშინ ბოლშევიკების წინააღმდეგ თარხანოვის მიერ ნაჩვენებ გზას და გადამჭრელ ზომებს.

და აი ეს კაცი დღეს „მარცხნივ“ დაქანებულა, ვიწრო ჯგუფური ჟინით შეპყრობილი დემაგოგიით აპირებს მუშების მიმხრობას და „ბოლშევიკებთან ერთათ ჩვენს ფრონტს გაუმარჯოსო“, გაიძახის.

იმან ისიც კი იკადრა, რომ ბათუმის დაცემა ჩხენკელს დააბრალა—არც ერთი გულწრფელი სიტყვა, არც ერთი ობიექტიური აზრი, მხოლოდ დემაგოგია იქით მიმართული, რომ ვინმე გულუბრყვილო მიიმხროს და ამ მიზნით კი ყოველი საშუალება იხმაროს, აი ამ კაცის სახე.

ვწუხდი და ვფიქრობდი: „რათ არგუნა ბედმა ამ კრებაზე ასეთი უღირსი მოწინააღმდეგე „კეთილშობილ“ წერეთელს?“

ილაპარაკა ამხ. ვოიტინსკიმ და ჯუღელმა. ორივემ გაიზიარა და დაადასტურა მოხსენების დებულებანი.

უკანასკნელი სიტყვა წერეთლისაა. კვლავ აღიმართა იგი ტრიბუნაზე. გამოჩნდა „დრედნოუტი“ (ეს სახელი უწოდა მას ერთმა ჩვენმა ცნობილმა პუბლიცისტმა, რომელიც კერძო საუბარში სამართლიანათ მიმტკიცებდა, რომ წერეთლის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ამიერ-კავკასია ვიწრო სარბიელია). ტაშისცემით ხვდებიან. ყველა[illegible] ინტერესი [illegible]ლით, მოწინააღმდეგენო, თუ შეგწევთ ბიჭობა“,—ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— „ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, ეს დიდი აქტი, ახალ ნიადაგზე აყენებს ახალ პოლიტიკას და კითხვა ისმის—შეეფერება თუ არა იგი მუშა ხალხის ინტერესებს...“ გაისმა ფართო სივრცეში წერეთლის მიმზიდველი ხმა. უკანასკნელ სიტყვას წერეთელი ჯერ ქართულათ ლაპარაკობს და იმავე იმორებს რუსულათ. ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება გამოკვეთილია, ლამაზი ფორმა და ღრმა შინაარსი შეზავებულია, მსმენელი მოხიბლულია, იგი სიხარულს განიცდის. გზადაგზა იგი თავის გულის პასუხს ტაშისცემაში ხატავს. წერეთელი განაგრძობს.

— „ბოლშევიზმმა დაჰყარა იარაღი გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე, ჯვარს აცვა, აწამა უბედური რუსეთი და იგი განუკითხავათ იმპერიალიზმს მისცა.

ბოლშევიზმმა შექმნა დამღუპველი მდგომარეობა არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის დემოკრატიისათვის. რევოლ. ფრაზამ, რევოლიუცია იმპერიალიზმს დაუმორჩილა. ჩვენ, იქ, რუსეთში, დავმარცხდით, იქ გამეფდა ბოლშევიზმი. დღეს ჩვენ ვიბრძვით აქ და გვინდა ამიერ კავკასია გადავარჩინოთ რუსეთის მწარე ბედს.

და თუ აქაც დავმარცხდებით ამიერ-კავკასიის ერები დიდხანს წელში ვეღარ გასწორდებიან.

ჩვენ აქ უბრძოლველათ არაფერი დავუთმეთ და არც დაუთმობთ ოსმალეთის იმპერიალიზმს.

ჩვენ არ ვიცანით ბრესტის ხელშეკრულება, ჩვენ ვერ შევურიგდით უბრძოლველათ დაგვეთმო მთელი ოლქები, ხელი აგვეღო წინააღმდეგობაზე. .

ვირაზმებოდით რაც ძალა შეგვწევდა, ვიწვევდით ყველას მოგვშველებოდა. მივმართეთ რუსეთს, მივმართეთ ინგლისს და ამერიკას, ესენი შორს გამოდგა, ხელი არ უწვდებოდა. იქნებ რუსეთში მაინც აღმოჩენილიყო მაშველი ძალა? იგი უძლური იყო, მან ვერ შესძლო რეალური ძალის გამოგზავნა. ხოლო ბოლშევიზმმა კი არა თუ დახმარება აღგვითქვა, მან, პირიქით, დამორჩილება მოგვთხოვა. უბრძოლველათ დაუთმეთ, მიიღეთ ბრესტის ხელშეკრულებაო.

აქ სოციალისტ-რევოლიუციონერმა სთქვა—თითქოს თერგის მთავრობამ დახმარება აღგვითქვა, ჩვენ კი არ [illegible] ეს დახმარება.

დახმარება აღგვითქვეს, დაგეხმარებით გვითხრეს, და პირობათ დაგვიდვეს ბოლშევიკები შეიყვანეთ მთავრობაშიო. აქ მოგვთხოვეს იგივე, რაც ჩაიდინეს რუსეთში. გარეკეთ დამფუძნებელი კრება, ის სოციალისტური არ არისო, წაერთვას სამოქალაქო უფლება ყველას, ვინც მემარცხენე ესერს და ბოლშევიკს არ აირჩევსო...

აქაც იმეორებენ—გარეკეთ სეიმი, წაართვით მუსულმანებს სამოქალაქო უფლება, გააჩაღეთ ომი ერთა შორის, ლახვარი ჩასცით გულში ჩვენს დემოკრატიას, სისხლში ჩააღრჩვეთ კავკასია.. ამოართვით გული კავკასიას და მაშინ... მოგეხმარებითო. ჩვენ ხელით არ მოვსპობთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას... სოციალისტ რევოლიუციონერმა აღნიშნა—თითქოს დემოკრატია ძლევამოსილი იყო, დელეგაციამ მოიწერა უბრძოლველათ მიეცით ბათუმი და აი ამან დაგვღუპაო. ეს დემაგოგიაა. ამის თქმით უნდათ ხალხს ჩააწვეთონ აზრი, რომ ჩხენკელმა გასცა ბათუმიო.

აქ იმეორებენ იმ დემაგოგიას, რომელმაც დაღუპა რუსეთი...

ფრთხილათ ამხანაგებო! დემოკრატია თავის ალაგას უნდა იდგეს!..

— „ახლა მე თქვენ მოგმართავთ, ამხანაგებო, თქვენ, რომელნიც ესერებს ტაშს უკრავდით“—გასძახის წერეთელი კრების ერთ მხარეზე მდგომ ესერთა მიმდევრებს.

ძლიერი არტილერიის ცეცხლით ესხმის თავს წერეთელი და ანგრევს მოწინააღმდეგეთა პოზიციებს.

„იქ, რუსეთში, ესერებთან ერთათ უარვყავით ჩვენ ბრძოლის მეთოდები ბოლშევიზმისა. აქაურ ესერების წინააღმდეგ, აქაც იმას ვიცავთ, რასაც ვიცავდით იქ—რუსეთში.

გადამწყვეტი წუთის დროს დღეს აქ ფრონტს იცვლიან. ბოლშევიზმის მეთოდებს იმეორებენ. დეე, გონს მოვიდნენ, მიხვდნენ რას სჩადიან. გაიხსენონ ჭრილობანი რუსეთის დემოკრატიისა, იგინი ხომ ჯერ არ განკურნებულან.

მიხვდნენ, რომ თუ აქ ბოლშევიზმი მოვა, ჩვენი ქვეყანა იქცევა არენათ ოსმალეთის ბატონობისა. ჩვენ ვიბრძოლებთ და შევქმნით ფრონტს როგორც ბოლშევიზმის, ისე ოსმალეთის წინააღმდეგ.

ბოლშევიზმმა გაყიდა ინტერესები რევოლიუციის, ინტერესები მსოფლიო დემოკრატიის, გავმიჯნოთ ბოლშევიზმისაგან ჩვენი დემოკრატია!

მეტად ძნელია ჩვენი სავალი გზა... აქ შეიძლება დაღუპვა, მოგვეშველეთ, მაგრამ ისე კი არა, რომ უთანხმოება ჩამოაგდოთ, დემოკრატია გაჰყოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეთ, რომ არ გაარღვიოთ ჩვენი ფრონტი, იქ ბოლშევიზმი შემოიჭრება, ამით კარებს გაუღებთ ოსმალეთის იმპერიალიზმს...

მაგრამ იცოდეთ, ერთიც, ვინც ახლა ლამაზ ფრაზების ქვეშ ბოლშევიზმის მეტოდებს იმეორებს, ასეთი მოკავშირე ჩვენ არ გამოგვადგება.

ასეთი მოკავშირეების დაკარგვა ჩვენ გაგვაძლიერებს"...

ძლიერმა ტაშის ცემამ დაფარა წერეთლის უკანასკნელი სიტყვა. ძლიერი შთაბეჭდილებაა. მუშებში სრული კმაყოფილებაა. რეზოლუციას კითხულობს ამხ. ვოიტინსკი. მეორეს კითხულობს ესერი. ორივეს ქართულად სთარგმნის წერეთელი.

პროლეტარიატი ხმის მისაცემათ ემზადება.

„პირველი რეზოლუციის მომხრენი—ასწიეთ ხელს"—აცხადებს თავმჯდომარე.

ზღვა ხალხი შეინძრა. სწრაფათ, ერთსულოვნათ სწევენ ხელს. გაისმის ტაშის გრიალი. „ვინაა წინააღმდეგი?" ეკითხება თავმჯდომარე.

— „ერთი, ორი, სამი... თორმეტი..." აი მოწინააღმდეგეთა ხმა. კვლავ ისმის ტაშის გრიალი. ესერების რეზოლ. კენჭს უყრიან. აქა იქ მოსჩანან ობოლი თითები. ორი ათეულიც ვერ შეკრიბეს. საცოდავი თარხანოვი, ამისთვის იწვალა, ამისთვის აამუშავა დემაგოგიის „მახრჩობელი გაზები"?!..

„ვინაა წინააღმდეგი"—აცხადებს თავმჯდომარე.

მთელი ზღვა ხალხი ხელებსა სწევს და ამ დამარცხებას ესერებისას ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის ცემით ხვდება.

გამარჯვებული ხალხი ნელა იშლება. სახე გაბრწყინებული ერთმანეთთან ცოცხალ საუბარშია გართული.

თვითონ პროლეტარიატმა სთქვა თავისი სიტყვა, გამოიტანა ისტორიული განაჩენი. ახლა ჯერი თქვენია პროვინციის მუშებო!..

14 აპრილი სამახსოვრო დღეა, იგი ისტორიული დღეა!...

რ. ჩიხლაძე.

15 აპრილი 1918 წ.

მოვალეობის მსხვერპლნი

პორ. გიორგი გიგოს ძე დოლიძე.

5 აპრილს კავკასიის ფრონტზე გმირულად დაეცა ამხ. გიორგი...

ის იყო გამსჭვალული სამშობლოს და თავისუფლების სიყვარულით, გაორკეცებულ ენერგიით შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას და პირნათლად აასრულა კიდეც დანაკისრი დავალებანი.

მან არ იცოდა შიში, ყოველივე გაჭირვებას ადვილად იტანდა.

ის ხელმძღვანელობდა განსაკუთრებულ გურიის რაზმს... და როცა გარშემორტყმული იყო ირგვლივ მტრის რაზმებისაგან, ის არ შეშინებულა—ლომივით დარბოდა და ამხნევებდა ამხანაგებს... მიუხედავად თავის ჯარის სიმცირისა, ის გულს არ იტეხდა.. მაგრამ მას მტრის ტყვიამ ადრე მოუღო ბოლო... მე ამხ. და ძმათ გიორგი ცრემლმორეული ვწუხვარ. მაგრამ იმედს მღვიძებს შენი გმირული თავგანწირვა თავისუფლებისათვის.

შენ არ გიღალატია წითელ დროშისთვის და ცოცხალი მაგალითით დაუმტკიცე საზოგადოებას, როგორ უნდა დაცვა თავისუფლებას და სამშობლოს.

მშვიდობით, ამხანაგო გიორგი!

შენი სახელი დაუვიწყარი იქნება შენს მეგობრებს შორის.

გრიშა დ—ძე.

ბარნაბ გოგუაძე, კირილე ბოლქვაძე და ანდრო ცეცხლაძე.

8 აპრილს ჩოლოქთან ოსმალების ჯართან შეტაკების დროს, ჩვენი ჯავშნიანი № 4-ში თავის მოვალეობის ასრულების დროს გმირულად დაეცნენ ბარნაბ გოგუაძე, კირილე ბოლქვაძე და ანდრო ცეცხლაძე.

გულ მოკლული, დამწუხრებული თქვენის დაკარგვით, ვიზიარებ თქვენი მშობლების გლოვასა და მოთქმას, მე როგორც ამიერ-კავკ. ჯავშნიან მატარებლების ხელმძღვანელი, ამიერ-კავკ. ჯავშნიანი „კამანდების" სახელით უცხადებთ თქვენ მშობლებს თანაგრძნობას.

ინუგეშეთ გულ-მოკლულო მშობლებო, რომ თქვენი შვილები სასახელოთ დაეცენ მტერთან გმირულ ბრძოლაში, რომელთა სახელს ისტორია გულში ღრმად ჩაიკრავს და მათ სახელოვან სიკვდილს ნაძრახ სიცოცხლეზე ათასჯერ ძვირფასად შეინახავს...

ისინი დაეცნენ, თვალს მიეფარნენ, მაგრამ მაღალი სულით, უკვდავი სახელით კი ჩვენთან არიან, ჩვენთან იქნებიან.

დასასრულ გმირების მშობლებო, მიიღეთ ჩვენგან გულწრფელი თანაგრძნობა, აკმარეთ თქვენს შვილებს გლოვა და ვიში, ბევრის ცრემლებით თქვენ გმირ შვილებს თქვენ შეურაცხყოფთ, ლაჩრებს სტირიან, გმირებს კი არა!

ამიერ-კავკ. ჯავშნიან მატარებლების უფროსი ვალოდია გოგუაძე.

მუშათა წერილები

ის არევ-დარევა, რომელიც ამ ჟამად ხალხშია დაღუპვის კარამდე მიგვიყვანს.

ერთა კავშირის გაწყვეტა ერთმანეთში, ძალების დაქსაქსვა, ერთმანეთის შური და სხვ. რამდენათ დამღუპველია ყველა ეს ჯერ ჩვენს ერს კიდევ არ აქვს გათვალისწინებული.

დღევანდელ ჭირ ვარამს საერთოდ ამიერ კავკასიის შვილები არ იზიარებენ, გარეშე მომდგარ მტრისაგან თავდასაცავათ მტკიცე ძალებს არ ქმნიან, ერთმანეთის გაჭირვებას არ იზიარებენ და ამიტომ გარეშე მტერი დანაწილებულ ჩვენ ძალებს ადვილათ იმორჩილებს.

თავიანთ მოძმის დაჩაგვრას კარგად ხედავს ის ერი, რომელიც არ გამოსულა საზღვრების დასაცავათ.

ეხლა ჩვენი მოძმეების ერთი ნაწილი უფსკრულში ჩაცვივდა: როცა ბათუმი, ოზურგეთი და ჩოლოქის ნაპირები გადმოლახა მტერმა, მცხოვრებლებმა თავიანთი სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი უპატრონოთ მიატოვეს და ტყეს შეაფარეს თავი.

მათი გაჭირვება, დიდ და პატარას ცრემლების ფრქვევა—ქვითინი აუწერელია.

ისინი შველას არსაიდან არ მოელიან. ისედაც კარზე მომდგარი შიმშილი ხალხს განსაცდელს უქადდა და ეხლა ზედ ეს უბედურებაც დაერთო. თითოეულ ლტოლვილს თვალწინ უდგას თავის სიცოცხლის წუთები.

გველეშაპი ჩვენ სამშობლოს ჩანთქვას უპირებს,—თავისუფლებას ბრჭყალებს სჭიდებს. შემდეგ მისი გამოგლეჯა ბრჭყალებიდან ძნელი იქნება.

ამ უბედურებას ყველა უნდა დასტიროდეს, ძალას უნდა იკრებდეს და პირდაღებულ ჩვენზე მოსულ გველეშაპს ქვას და ლოდს უნდა აყრიდეს. ამას ჩვენი კუთხის შვილები ადვილათ შესძლებდენ, რომ ჩვენში გარეშე მტრისაგან დაცვაში თანხმობა სუფევდეს.

ის ქართველი ერი, რომელიც საუკუნოებით სისხლს ღვრიდა სამშობლოს დასაცავად, დღეს მისი შვილები გულგრილათ ეკიდებიან საერთო თავ-დაცვის საქმეს. რაღაც მიზეზს ეძებენ, გაურბიან საერთო ჭირ-ვარამს. შინაურ კინკლაობას უფრო ეტანებიან, ვიდრე ამხანაგებს მხარში ამოუდგენ, მტერთან პასუხის გაცემაში იმედი მისცენ.

სისხლით მოპოვებული თავისუფლება სისხლშივე იხრჩობა. გამოსასვლელი გზა ძნელი მოსანახია, მტერი კი ყოველი მხრიდან განადგურებას გვიქადის. ჩვენი მთავრობა დაასუსტა ხალხში ძალების დაქსაქსვამ. ხალხში მთავრობის მიმართ უკმაყოფილება გაისმის, მაგრამ მთავრობა რას უნდა გახდეს, როცა ჩვენ შეთანხმებულათ არ ვმუშაობთ?

ჩვენი ხელმძღვანელები მუდამ შეერთებისაკენ მოგვიწოდებდენ, თუ შევერთდებით, მთავრობაც ძლიერი იქნება და ჩვენც.

ივაკი გიორგაძე

სააღ.-მამულო რეფორმა

მანგლისის და ბელიკლიუჩის რაიონი. 20 მარტს მე და ს. თევზაძე სამიწათმოქმედო სამინისტროს დავალებით გავემგზავრეთ ზემოთ დასახელებულ რაიონებში მიწის კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ და თანამედროვე მდგომარეობის განსამარტებლათ. მოვაწყეთ კრება მანგლისში, თონეთში, პრიუტში, ღიუბანში, ასურეთში და ბელიკლიუჩში, ამის გარდა 2 სოფლის წარმომადგენელთა კრება მთელი რაიონისთვის, რომელზედაც დაესწრო ორივეს 140 წარმომადგენელი. ამის გარდა, მოვაწყე 5 კერძო პატარ პატარა კრებები სხვადასხვა ადგილას, ვუხსნიდით მიწის კანონს, სადაც არ იყო ვქმნიდით სააღგ. მამულო კომიტეტებს, შინაური და გარეშე მტრის საშიშროებას, მობილიზაციას და სხვას. მოუწოდებდით შეკავშირებლათ და საერთო ფრონტის შექმნელათ სეიმის ირგვლივ. ხალხი დიდის გულისყურით გვისმენდა, გარდა თითო-ოროლა მობოლშევიკე ნასალდათრებისა, რომელნიც თავის თავათ არაფერს არ წარმოადგენენ.

სიამოვნებას გრძნობდა ხალხი, როდესაც ვუხსნიდით მიწის კანონს, რომ მიწები უნდა გადაეცეს გლეხთა კომიტეტებს. მოისმოდა ხმები: ეხლა გვესმის, რომ ჩვენზედაც ფიქრობენო, გამოჰქონდათ შემდეგი დადგენილებები:

1. მადლობა სეიმს მიწის კითხვის სამართლიანათ გადაწყვეტისთვის, რომ მიწა უნდა ეკუთვნოდეს მიწის მუშას. ჩვენ მთელის ჩვენის ძალ-ღონით მხარს დავუჭერთ ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას. გვესმის რა ამ კანონის ცხოვრებაში გატარების სიმძიმე, ჩვენ შევეცდებით, რომ ისე მოვაწყოთ ეს საქმე მთავრობასთან ერთად, რომ ჩვენში არავითარ გაუგებრობას და უთანხმოებას ადგილი არ ჰქონდეს. ჩვენ დავემორჩილებით ჩვენ მიერ შექმნილ კომიტეტების გადაწყვეტილებას.

2. საჭიროთ და აუცილებლათ მიგვაჩნია დაცული იქნას ტყეები გაჩეხვა-განადგურებისაგან, რომელიც შეადგენს ხალხის საკუთრებას და სიმდიდრეს.

მოვუწოდებთ ყველა შეგნებულ გლეხობას არ აყვნენ პროვოკაციას ერთი ერის მეორეზედ ანუ ერთი სოფლის მეორეზე წასისიანებას და ამითი ლახვარი არ ჩავცეთ ჩვენ თავისუფლებას მტრის სასიხარულოთ. ვთხოვთ მთავრობას სასტიკი ზომები მიიღოს პროვოკატორთა და არა მკითხე უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ. ჩვენ ჩვენის მხრით მთელის ჩვენის ძალით და ღონით ხელს შევუწყობთ მთავრობას ანარქიასთან ბრძოლაში—3) ვიღებთ რა მხედველობაში გარეშე მტრისაგან ჩვენზე თავდასხმას, რომელიც ემუქრება ყველა რევოლიუციის მონაპოვარს და ჩვენ ოჯახს, ვადასტურებთ სეიმის დადგენილებას მობილიზაციის შესახებ და მოვუწოდებთ ყველას გაითვალისწინონ ის უბედურობა, რაც მოელის ჩვენ ქვეყანას და აასრულოს ყველამ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა. მიაშუროს ფრონტს ყველამ, ვისაც უწევს წლოვანობით გასვლა, დანარჩენები შეკავშირდნენ და დადგნენ იარაღ ქვეშ, რომ საჭიროების დროს ყველას შეგვეძლოს დავიცვათ ჩვენი ქვეყანა მტრის შემოსევისაგან. 4) რომ უფსკრულის პირზე მდგარი ჩვენი ქვეყანა არ გადაიჩეხოს ამ უფსკრულში, საჭიროა მაგარი და მკაცრი სამართლიანი მთავრობა და ამისათვის ვთხოვთ ამიერ კავკასიის მთავრობას მიმართოს სიმკაცრეს ზოგიერთა არა მკითხე უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ და ჩვენ ჩვენის მხრით დავიცავთ მთავრობას ყოველივე თავდასხმიდან გარედან იქნება თუ შიგნიდან.

1 სააღგილ მამულო სარაიონო კომიტეტი არის მოთავსებული მანგლისში. თავმჯდომარეა პ. ბერიძე.

ბელი-კლიუჩის რაიონში დაუარსებიათ ორი სარაიონო სააღგილ-მამულო გამგეობა, ასურეთში და ბელი-კლიუჩში დავალებული ჰქონია კომიტეტის მოწყობა კიკონოვს, რომელიც მომუშავე კაცია და მშვენივრადაც მოუწყვია და სადაც იქნება იმედიც მაქვს, რომ კარგათ მოაწყობს. მეორე მოეწყო საგარაძეს მეცადინეობით, რომელიც ბევრს მუშაობდა და ეტყობა ხალხის სიყვარულიც დაუმსახურნია ერთად ერთი ამხანაგი პარტიული ინტელიგენტი ეს არის მთელ ამ რაიონში, რომ ხალხის სიმპატია დაუმსახურებია.

ლ. ბერიტაშვილი.

მუშათა შორის

თბილისი. კარგა ხანია, რაც ჩვენ თფილისის კოოპერატივებში მოსამსახურენი—ვგრძნობდით კოოპერატიული სექციის შექმნის აუცილებლობას, მაგრამ ჩვენი შეუკავშირებლობის გამო საქმე ფერხდებოდა. ამ სექციის აუცილებლობას კი მძლავრათ გვიკარნახებდენ ყველა ის პირობები, რომლებშიაც კერძოთ ჩვენ ვიმყოფებით. ჩვენ ყველანი ანგარიშს ვუწევდით იმ გარემოებას, რომ ვსახურებთ საზოგადო დაწესებულებებში და ამ დაწესებულებების წევრები მართლებიც ეყვნენ მოეთხოვათ ჩვენგან კერძო ინტერესების უარყოფა და საზოგადოებისადმი სამსახური, მაგრამ რამდენადაც ყველა ეს მომხმარებელი საზოგადოებები უზრუნველყოფილი არ იყვნენ ასცილებოდენ იმ კანონებს, რომლებიც თან ახლავს კაპიტალისტურ წარმოებას, იმდენად ჩვენც, რა თქმა უნდა, არ ავცდებოდით ექსპლოატაციასაც. ამასთანავე ჩვენ იმასაც ვგრძნობდით, რომ ჩვენ ვერ მოვითხოვდით ამ საზოგადო დაწესებულებებიდან ჩვენთვის, ყველაზე უკეთეს პირობებში ჩაყენებას, რადგანაც, როგორც უკვე ვსთქვი, კაპიტალისტურ წარმოებას თავისი კანონები აქვს და ეს დაწესებულებები ვერ აიტანდენ ზედმეტ ხარჯებს. თუ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მსხვერპლათ შეეწირებოდენ ასეთი საზოგადო დაწესებულებები, ჩვენ ამას არ ვიზამდით. ამნაირათ, ჩვენი ბრძოლის მეთოდიც—გაფიცვა—ორნაირათ მჭრელ იარაღათ გადაიქცეოდა ჩვენს ხელში, რასაც ჩვენ ვერ მივმართავდით.

აქვე არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ამ დაწესებულებებში მსახურებს, სხვებთან შედარებით, არა გვქონდეს კარგი მხარეებიც ჩვენ მუდამ შეგვეძლო ამ საზოგადოებების გამგეობის წევრებთან ერთად გამოგვენახა ისეთი საშუალებები, რომლებითაც შევსძლებდით მსახურთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამისთვის კი საჭირო იყო ჩვენი შეკავშირება კოოპერატიული სექციის სახით. აი, ამ მიზნით, კვირას, 15 აპრილს, კოოპერატივ „ალორძინების" კანტორაში მოწვეული იყო თფილისის ყველა კოოპერატივებში მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელო წესდება. ამ წესდებას საფუძვლათ ედება სავაჭრო სამრეწველოში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წესდება და ამავე წესდების მე-24 მუხლის ძალით კავშირთან არსდება კოოპერატიული სექცია, რომელიც შეადგენს სავაჭრო-სამრეწველოში მოსამსახურეთა კავშირის ნაწილს. ყველა წევრი სექციისა მით კავშირის წევრიცაა და ექვემდებარება კავშირის წესდებას. კოოპერატივებში მომუშავეთ ევალებათ ჩაეწერონ წევრებათ კავშირში.

სექციის მიზანს შეადგენს მოსამსახურეთა პროფესიონალური ინტერესების დაცვა, კოოპერატიულ იდეის გავრცელება და პრაქტიკულ მომუშავეთა მომზადება. იღებს რა სექცია კავშირის წესდებას, შეაქვს მასში ზოგიერთი შესწორებები.

მძიმე დროს უხდება არსებობა ამ სექციას.

მაშინ, როდესაც ერთის მხრით ანარქიის ტალღები და მეორეს მხრით გაუმაძღარი საერთაშორისო იმპერიალიზმი უქადის ჩვენს თავისუფლებას წალეკვას, ამ დროს მას ევალება ჩვენი ძალების დაწყობა. ცხადია, ბევრი დაბრკოლება გადაეღობება წინ, მაგრამ დეე მას ნუ შეაკრთობს. დეე მუდამ მაღლა ეჭიროს პროლეტარული ბრძოლის დროშა და ჩვენც მასთან ვართ. ვუსურვებ კოოპერატიულ სექციას ნაყოფიერ მუშაობას.

ნ. ოთარაშვილი.

ამ წესდების განხილვა-დამტკიცების შემდეგ კრებამ ამოირჩია კოოპერატიული სექციის ბიურო.

ნ. ოთარაშვილი.

პროვინცია

სიღნაღის მაზრა. დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში სიღნაღის მაზრა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. მას სამი მხრიდან შემოხვეული აქვს მეზობელ მუსულმანთა მოსახლეობა. განწყობილება სიღნაღის მაზრის და „მოსაზღვრე ერთა შორის ამ უკანასკნელ დრომდის იყო ნორმალური, ხდებოდა ურთიერთა წყენა ზოგიერთ კერძო შემთხვევების გამო, მაგრამ ამას არ ჰქონდა საზოგადო ხასიათი, რისთვისაც საერთო მშვიდობიანობა არ ირღვეოდა. ამ ბოლო დროს განწყობილება შეიცვალა, ომის შედეგმა და ხალხის შეიარაღებამ მოსაზღვრე ერი ხმა მაღლა აალაპარაკა და სიღნაღის მაზრაც საპასუხოდ გამოიწვია. აქ იწყება ერთი ერთმანეთზე დაცემა, შეიარაღებული შეტაკება, საქონლის დატაცება; ძმური განწყობილება მტრობაზე და შურის ძიებაზე შეიცვალა, მომზადდა ნიადაგი ორივე მხრიდან—ბნელ ძალებს, პროვოკატორებს ესარგებლათ ასეთი მდგომარეობით, რათა ორი მეზობელი ერთი ერთმანეთზე აემხედრებინათ და ამით თავიანთი ბნელი საქმეები ეწარმოებინათ. დიდი მეცადინეობა იყო საჭირო როგორც კომისარიატის მხრივ, ისე სათავეში მდგომ პირებისა, რომ ეს კერძო შემთხვევები არ ყოფილი მიზეზი საერთო ცეცხლისა, რომელიც ერთნაირად დასწვავდა და გაანადგურებდა როგორც სიღნაღის მაზრას, ისე მოსაზღვრე ერსა. და მართლაც დღევანდლამდის საგრძნობელი არაფერი მომხდარა და მასსიურ შეტაკებას ადგილი არ ჰქონია.

დღეს სახელმწიფო ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილება მოხდა. გამოცხადდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და თუ დემოკრატიული ჩასახა ყველა ერის ამ სახელმწიფო მართველობის ფორმას თავის შინაარსით შეგნებულად შეხვდა, იმედი არის ყველა მაზრა, რომელიც კი გადარჩა დანგრევა-დახიანებას უვნებელი დარჩება და შეინახავს რა თავის არსებობას, თანდათანობით გაიკაფავს გზას კულტურულ, ადამიანურ ცხოვრებისაკენ.

მაშასადამე, საფრთხე მაზრისათვის გარეშე მტრისაგან თითქმის ნახევარზე მეტად აცილებულია. არის მეორე საფრთხე შინაური მტრისაგან და ეს მტერი, რომელიც უკვე იწყებს თავის მოქმედებას, არა ნაკლებად საშიშია გარეშე მტერთან შედარებით.

ეს შინაური მტერი არის მაზრის სოფლებში ბნელი ძალების ამოძრავება მათი აქტიურად გამოსვლა და მოქმედება.

ეს ბნელი ძალები შეიარაღებული არიან და სოფლის საზოგადოებაში საგრძნობელ ძალებს წარმოადგენს, მათი მოქმედება რევოლიუციის და ხალხის კეთილდღეობის საწინააღმდეგოა; სადაც მათ რაიმე გამოსვლა მოუხდენიათ და საზოგადოებიდან ბრბოები აუყოლიებიათ ყველგან საზოგადოებისათვის როგორც მთლიანისათვის, ზარალის მეტი არაფერი მოუტანიათ, და დემოკრატიისათვის ჩამოურეცხელი ჩრქი მოუცხიათ, ამის მიუხედავად მათი მოქმედება არ ჩერდება, პირიქით, ზოგიერთ ალაგას უფრო ფართოვდება.

ან რატომ ასე არ იქნება: მშვიდობიანი მცხოვრები შეუგნებელია და ორგანიზაციულად მოუწყობელი, მათ შეიარაღებულ თავაღებულ შინაურ ყაჩაღთა ბრბოებთან ბრძოლა ეძნელებათ. მათ არ მოსწონთ ამ ბრბოების მოქმედება, მაგრამ ძალა არ შესწევთ თვითონ გამოვიდენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, იგინი ამ შემთხვევებში მაღლა იყურებიან და შველას, ხსნას მთავრობისაგან მოელიან.

მთავრობაც როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალური, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ აქცევს შესაფერ ყურადღებას, ვერ იღებს სასურველ ზომებს ამ ბნელი ძალების მოქმედების წინააღმდეგ და ამისათვის ანარქია, არევ-დარევა სოფლად კი არ სუსტდება, არამედ—თანდათან ფართოვდება.

მთავრობის უმოქმედობა უფრო გარემოებით, იძულებითი უყურადღებობა აძლევს საშუალებას საზოგადოების მიერ გაბრწნილ პირებს გაიფართოვონ თავიანთი უპასუხისმგებლო და ხალხის დამღუპველი მოქმედება და თვით საზოგადოებასაც აგდებს სასოწარკვეთილებაში, არწმუნებს მას, რომ შველა მათთვის არსაიდან არ მოიპოვება და საერთოდ ასეთი მდგომარეობა ჰქმნის იმ ანარქიას, არევ-დარევას, რომელიც ასუსტებს რევოლიუციის და უთხრის საძირკველს სისხლით მოპოვებულ ხალხის თავისუფლებას.

სოფლებში არ არსებობს არავითარი მართველობა, შექმნილი აღმასრულებელი კომიტეტები ეს მხოლოდ ფიქციაა, სოფლის კომისრების მოქმედება ბევრგან არ [illegible] ნიკოლოზის დროს ყოფილ მამასახლისების მოქმედებიდან, ზოგან კი მისი მოქმედება მხოლოდ სახელით არის და საქმის გაკეთების მას არც შნო და ცოდნა აქვს და თუნდ ზოგიერთს ჰქონდეს შესაფერი ცოდნაც და სურვილიც, იგი შეიარაღებული ბრბოების ქვეშ [illegible], მის მიერ დაყენებული მისი მონა უძლური კარგი რამ გააკეთოს სოფლად. არ არსებობს სოფლისთვის სასამართლოც, რისთვისაც ბოროტმოქმედი პირი დაუსჯელი რჩება და რა შედეგი მოსდევს ამას, ეს ყველასათვის ცხადია.

მართალია, მაზრის კომისარიატს ან კომისარს ბევრი საქმის გაკეთება შეუძლიან, მარა როდესაც პერიფერიებში არ ეყოლება შესაფერი ადმინისტრატიული პირები ან ორგანიზაცია ცხადია, მისი მოქმედება იქნება სუსტი და ნაკლებად ნაყოფიერი.

აგრეთვე ცხადია ისიც, რომ სამაზრო კომისარიატის მოქმედებას ამ პირობებში გარეგნული, ფორმალური მნიშვნელობა ექნება და შინაური მაზრის ცხოვრების გასამაგრებლად მას ძალა არ მოეპოვება.

სოფლის ასე უპატრონოდ დარჩენა ბადებს უნდობლობას სამაზრო კომისარიატის მიმართ და უზრდის ნიადაგს ბრბოებს კომისარის წინააღმდეგ ამხედრებად.

საჭიროა ყველა ამას მიექცეს საჭიროდ ჯეროვანი ყურადღება. თორემ ურემი რომ გადაბრუნდება და დაიმსხვრევა, ნაკლები მნიშვნელობა ექნება სწორე გზის აღმოჩენას.

ამიერ კავკასიის სახელმწიფოს ახალ მთავრობისაგან ჩვენ სასწრაფოდ მოველით სოფლის საკეთილდღეო შესაფერ ნაბიჯების გადადგმას და დავარწმუნებთ თვით მთავრობასაც, რომ ასეთი გადადგმულ ნაბიჯებს თანაგრძნობით და დახმარებით შეხვდება მაზრის ყოველი საზოგადოება.

თუ მთავრობას აქამომდე ასეთი მოქმედებისათვის არც დრო ჰქონდა და არც საშუალება, დღეს, ვგონებთ, ნიადაგი მზადაა და აქ დახანება კი იქნება სიკვდილი ყველა იმისა, რაც ხანგრძლივი ბრძოლით და დიდი წვალებით მოგვიპოვებია!..

ი.

ფონდი

მივიღეთ ამხ. არშაკ როსტომაშვილისაგან 10 მანეთი „ერთობის" ფონდის სასარგებლოთ.

სოფიო ჯანგიძისაგან გარდაცვალებული ქმრის პარმენ იეანეს ძე ჯანგიძის წლისთავის აღსანიშნავათ „ეშ. მათრ." ფონდისათვის მივიღეთ 20 მან.

„ერთობის" მე-78 ნომერში გამოცხადებული იყო „ეშ. მათრახის" სასარგებლოთ ქვილრის კოოპერატივიდან 70 მ. 33 კ., უნდა ყოფილიყო: სიმონ მელიასაგან 75 მანეთი.

ცნობები

ექიმი ვიკტორ ალმასხან-ძე სიხარულიძე როგორც გვიგდეთ წამოსულა პეტროგრადიდან და დარჩენილა ტუაფსეში. ვინც ვინმე დანამდვილებით იცის მის შესახებ რამე გვაცნობოს ქუთაისი „განათლებაში" სოლ. თავართქილაძესთან ოლიას ქ. № 6.

— ჯარისკაცი ივანე (იონა) პავლეს-ძე კილასონია რვა წლიწადია მსახურობდა ჯარში. 4 წლიწადი რუსეთში. პირველად ომის გამოცხადებიდან გადმოყვანილ იქნა კავკასიის ფრონტზე 4 ქვეითა 27 ერეგნის საზღვრებში მცველთა რაზმში. შემდეგ გადაყვანილი იქნა სხვა და სხვა ერთეულებში. უკანასკნელათ იმყოფებოდა ბაქოში 269 ქვეითა მარჯაფ ერთეულში 13 რაზმში. აგერ 6 თვეა, რაც მისმა ჭირისუფლებმა არაფერი იციან მისი.

ვინმე თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგ მისამართით: Чiатуры, Кут. губ. ბიბლიოთეკა-სამკითხველოში პლ. კილასონიას.

მარტის 29 გაიხსნა
სამკურნალო
ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ი. მ. მძინარიშვილის და ლ. ნაზარეთიანცის.
სამკურნალოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი, [illegible] ლების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის და კირონის ქუჩების კ[illegible] № 22. (შესასვლელი კირონის [illegible]) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 8 საათამდე. ვენერიული და [illegible] ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. კვირაობით [illegible] უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ. (24—17)

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე [illegible] 4—6 ს. [illegible] ტელ. 15—90.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი [illegible] დილის 5—7 საათამდე [illegible] № 6 [illegible]. ტელ. 14—87

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის [illegible] ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. [illegible] ქუჩა № 7. [illegible] ტელეფონი 17—49.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღებს კანისა, ვენერიულისა და სისხლიანი ავადმყოფებს (914-ს და 606-ის [illegible]). ავადმყოფთა მიღება 5—9 საათამდე საღამოთ. მიხეილის პროსპ. № 118, [illegible] პირდაპირ. ტელეფონი 14—23.

ექიმი
ბ. დონხინი
[illegible] დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ. 76, [illegible]

ექიმი შ. გ. [illegible]
[illegible]

ექიმი ქალი
რ. გ. [illegible]
მედიცინის დოქტორი [illegible] შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ [illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. [illegible]

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
შინაგან სნეულებათა, ბავშვთა და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—3 და საღამოს 4—5 საათამდე. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 7, [illegible]

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, [illegible] და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთ 4—6 საათამდე. [illegible] მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფებს ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] № [illegible] ტელეფონი 8—48 [illegible] მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.